ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

# საქართველო

საქართველოს სახალხო ფრონტის
საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№ 16 (21)

14 IX 1990

ეროვნული ბიბლიოთეკა



# სატირალი რომ არ იყოს!

2 სექტემბერს გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებულმა საქინფორმის ინფორმაციამ „რუსეთი — საქართველო: დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი სუვერენიტეტის გზაზე“ ძალზე დიდი ინტერესი გამოიწვია. როგორც ინფორმაციიდან ირკვევა, „ეს პირველი ასეთი დოკუმენტია, რომელსაც ჯერჯერობით ანალოგი არ მოეპოვება“ და „დიდ პერსპექტივებს უსახავს რესპუბლიკების სახელმწიფო სუვერენიტეტის, ნებაყოფლობითი და ურთიერთხელსაყრელი ნაყოფიერი თანამშრომლობის განმტკიცებას თანასწორუფლებიანობის საფუძველზე“.

ასეთი შესავლის შემდეგ, ბუნებრივია, დიდი სურვილი გამიჩნდა ამ „დოკუმენტის“ გაცნობისა და გული დამწყდა, რომ „რუსეთის სფსრ უზენაესი საბჭოს მიღებათა“ გაჩირაღდნებულ დარბაზში პირველად მყოფ სტუმართა შორის მეც არ ვიყავი და ვერ დავესწარი პროცედურას, რომელსაც „საეჭვოა ანალოგი ჰქონდეს“ რუსეთსა და საქართველოს „მრავალსაუკუნოვანი მეგობრობის“ პერიოდში დადებულ ხელშეკრულებებთან: „ორი მოკავშირე რესპუბლიკის ხელმძღვანელები, როგორც სუვერენული სახელმწიფოთა წარმომადგენლები, ხელს აწერენ ხელშეკრულებას“. გიხაროდენ, იზეიმეთ ქართველებო და საქართველოში მცხოვრებო არაქართველებო. თქვენ სუვერენული საქართველოს მოქალაქეები გამხდარხართ და შესაბამისად სუვერენული სახელმწიფო წარმომადგენლებიც გყოლიათ. ეს რა ბედნიერება დაგვცემია თავს, ასე უცაბედად, ასე მოულოდნელად, ასე მოუმზადებლად. კიდევ უფრო სასიხარულოა, რომ თურმე „ყოველივე ეს კარგა დიდი ხნის წინათ დაიწყო“ და „ბორის ელცინი და გივი გუმბარიძე ერთად მივიდნენ საერთო აზრამდე“. ჩვენ კი არაფერი ამის შესახებ არ გაგვაგებინეს, ალბათ რომ არ გვენერვიულა, ემოციებს არ ავყოლოდით და გონიერება არ დაგვეკარგა. საქმიან კაცებს ჩვევიათ ასე: სიტყვას არ დაძრავენ, სანამ საქმეს არ დაასრულებენ. ხელმოწერის დროს „ყოველ მათგანს ესმოდა, რაოდენ პასუხისმგებლობას კისრულობდა — ეს ხომ პირველი ხელშეკრულებაა, რომელსაც სუვერენული რუსეთი და სუვერენული საქართველო დებენ“. ვაშა, მრავალჟამიერ! რა ამაყად ჟღერს „სუვერენული საქართველო“, რა ამაყად ჟღერს „პირველი ხელშეკრულება“. „ეს მართლაც განსაკუთრებული დღეა ქართველი და რუსი ხალხების უნიკალურ ურთიერთობათა მრავალსაუკუნოვან ისტორიაში“. მაგრამ... „ხელშეკრულების ხელმოწერის დროს ბ. ნ. ელცინმა აღნიშნა ამ დღის უდიდესი მნიშვნელობა რუსეთისა და საქართველოსათვის. ჩვენ უკვე რამდენიმე საუკუნეა, ვმეგობრობთ, აღნიშნა მან, და ამ ხნის განმავლობაში ხელი მოვაწერეთ მრავალ სხვადასხვა დოკუმენტს, მათ შორის 1920 წლის 7 მაისის ცნობილ ხელშეკრულებას საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს შორის, შემდეგ კი 1922 წლის სამოკავშირეო ხელშეკრულებას, მაგრამ“... რა მაგრამ?! „ეს ხომ პირველი ხელშეკრულებაა“, „რომელსაც ჯერჯერობით ანალოგი არ მოეპოვება?“ ბ. ნ. ელცინმა ეჭვის ქვეშ დააყენა „პირველი ხელშეკრულება“?, ე. ი. „სუვერენული საქართველო“, „სუვერენულ სახელმწიფოთა წარმომადგენლები?“ იქნებ საქინფორმს შეეშალა რამე, ან იქნებ რედაქციას გაეპარა შეცდომა, თუ ჩვენდა საუბედუროდ მართლაც, „თეატრალიზებულ ცერემონიალთან“ გვაქვს საქმე?

„16 საათი და 55 წუთია. მიღებათა დარბაზში მტკიცე ნაბიჯით შემოვიდნენ ბორის ელცინი და გივი გუმბარიძე, რუსეთის ფედერაციის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ივან სილაევი და საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნოდარ ჭითანავა, აგრეთვე სხვა ოფიციალური პირნი.

სისადავისა და უშუალობის მიუხედავად, ყველაფერში იგრძნობოდა, რომ საზეიმო და დიდმნიშვნელოვანი წუთი დადგა. მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობა აკავშირებთ საქართველოს და რუსეთს. ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვა ინტერესები ედო მას საფუძვლად. შორეულ ეპოქაში ერთმორწმუნე მეზობლები ეძებდნენ ერთმანეთისაკენ მისასვლელ გზებს, რათა ერთად აღდგომოდნენ წინ შინაურ და გარეშე მტრებს, დაეცვათ და გაემდიდრებინათ თავიანთი სულიერი კულტურა. ითვალისწინებდნენ რა რუსეთის პოტენციურ ძალას და საქართველოს დიდმნიშვნელოვან გეოგრაფიულ და სტრატეგიულ მდებარეობას, ეს კავშირი ფრიად პერსპექტიული ჩანდა და ამით ყოველთვის დაინტერესებული იყო ორივე სახელმწიფო.

და მაინც ეს ურთიერთობა, ერთგვაროვნად არ ყალიბდებოდა. იყო დრო, როცა საქართველო აურაცხელი შემოსევებით სისხლდაცლილი, სწორედ რუსეთს უკავშირებდა ევროპულ კულტურასა და აზროვნების გზაზე გასვლას. მაგრამ“... რა? მაგრამ რა დაგასწროთ, ბატონო გივი, ბატონმა ბორისმა? „ბატონმა ბორისმა დამასწრო მრავალი აზრისა და გრძნობის გამოხატვა, რასაც მე ვაპირებდი“.

„მთელი თავიანთი ერთობლივი ისტორიის მანძილზე, ხაზგასმით აღნიშნა ბ. ნ. ელცინმა, რუსეთსა და საქართველოს არასოდეს არ უომნიათ ერთმანეთთან, არ ჰქონიათ დავა საზღვრების გამო, არაფერი ჰქონიათ გასაყოფი“. ბატონო გივი, ნუთუ ამ „მრავალი აზრისა და გრძნობის გამოხატვა“-ს აპირებდით, რომელიც, როგორც თქვენ აღნიშნეთ, ბატონმა ბორისმა დაგასწროთ? ნუთუ ეს არის თქვენი აზრები და თქვენი გრძნობები? ნუთუ ეს არის თქვენი „ხალხს მოვუსმინოთ“, „ხალხთან მივიდეთ“, „მათთან დიალოგი გავმართოთ?“.

აღარ კმარა რუსეთის ცარიზმისა და ინტერნაციონალისტ-ბოლშევიკთა მიერ „შეთხზული სიმღერების“ გადამღერება, აღარ კმარა თავის მოტყუება, აღარ კმარა უცოდინრობა? აღარ დადგა დრო კრიტიკოს თამაზ წივწივაძის პუბლიკაციების წაკითხვისა, რატომ უყურით ამ ნიჭიერ კაცს თავის თავდაუზოგავ შრომას წყალში? ნუთუ არ წაგიკითხავთ — გაიღვიძეთ, გროშა ბიძია... გაიღვიძეთ, ბორია ბაბუა! წაგიკითხავთ? მაშინ გაიღვიძეთ! გაიღვიძეთ, ბატონო გივი, გაიღვიძეთ, ბატონო ნოდარ, გაიღვიძეთ, დე-პო-ში ვართ!

**ალექსანდრე შალამბერიძე,**
**რესპუბლიკურ-ფედერალური პარტიის წევრი.**

**სურათზე: სამუდამოდ გაკეთებულ საქმეს ვითომ უშველის 180 გრადუსით შემობრუნება?**

# მრგვალი მაგიდის პოლიტიკურ ორგანიზაციათა მემორანდუმი

გამოქვეყნდა მრგვალი მაგიდის მემორანდუმი. გთავაზობთ ნაწყვეტებს ამ მემორანდუმიდან:

უკანასკნელ ხანს ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა კომუნისტური პარტიის წინასაარჩევნო მაქინაციებმა. გაკოტრებული ზნეობრივი პოლიტიკური რეპუტაციის გადარჩენისა და შელამაზების მიზნით იგი ქმნის ახალ-ახალ სატელიტურ ორგანიზაციებს. ასე მაგალითად, კომუნისტური პარტიის სტაჟიანი წევრებისა და ყოფილი ფუნქციონერების მიერ უკვე შეიქმნა თავისი ხასიათითა და მიმართულებით ოდიოზური საზოგადოება „სტალინი“. იყენებს რა სტალინის სახელს და ავტორიტეტს გარკვეულ წრეებში ეროვნულ მოძრაობასთან დასაპირისპირებლად, ეს ორგანიზაცია სინამდვილეში წარმოადგენს ინტერფრონტის ერთ-ერთ სახეობას. არჩევნებში ამ საზოგადოების მონაწილეობამ უკვე გამოიწვია ჩვენი არჩევნებისადმი საერთაშორისო საზოგადოებრიობის ნეგატიური დამოკიდებულება. აღსანიშნავია, რომ თვით საარჩევნო კანონიც კი მსგავს ორგანიზაციებს უკრძალავს არჩევნებში მონაწილეობას, იმ მოსაზრებით, რომ ისინი „ხელყოფენ საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმების მოთხოვნებს“. იაფფასიანი პოლიტიკური ფარსი გაითამაშა „კომუნისტური ინტელიგენციის“ ერთმა ნაწილმა, რომელმაც პარტიების რეგისტრაციის დამთავრებამდე სულ რაღაც ორიოდე დღით ადრე „დააფუძნა“ ე. წ. „ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირი“, რომელიც წარმოადგენს კომუნისტური პარტიის საარჩევნო სიის გაგრძელებულ ვარიანტს. ამ „კავშირის“ წევრთა მოქმედება მით უფრო აღმაშფოთებელია, რამდენადაც მათი უმრავლესობა, სინამდვილეში არიან რა კომუნისტური პარტიის წევრები, არჩევნებში მონაწილეობენ „დამოუკიდებელი“ ორგანიზაციის სახით და ინიღბებიან ეროვნული ლოზუნგებით...

ყოვლად უზნეო მანიპულაციებით კომუნისტური პარტია ცდილობს, რადაც უნდა დაუჯდეს, შეინარჩუნოს იმპერიის დიქტატი საქართველოში. ამავე მიზნით იგი უკავშირდება არა მარტო პროკომუნისტურ, არამედ ცრუეროვნულ პარტიებსა და ორგანიზაციებს! სწორედ ასეთი ფარული გარიგება დაიდო კომუნისტურ პარტიასა და ე. წ. კონგრესის ადეპტებს შორის...

...ამ უაღრესად სახიფათო ალიანსის მიზანი ერთია: იმ შემთხვევაში, თუ არჩეული იქნება ეროვნული პარლამენტი და ხელისუფლება გადავა ანტიკომუნისტური ძალების ხელში, ცხადია, ამით ბოლო მოეღება იმპერიული სტრუქტურების არსებობას საქართველოში და დაიწყება ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენის პროცესი. ბუნებრივია, რომ ხელისუფლებას ჩამოცილებულ კომუნისტურ პარტიას აღარ ექნება ამ პროცესების შეჩერების შესაძლებლობა. ასეთ ვითარებაში იგი სცენაზე გამოიყვანს თავის უკანასკნელ დასაყრდენს, ე. წ. „კონგრესს“, რომლის საშუალებითაც შეეცდება დაამხოს ეროვნული პარლამენტი და გამოიწვიოს ძმათა შორის სისხლისმღვრელი სამოქალაქო ომი...

ქართველი ერის სასიცოცხლო ინტერესებიდან გამომდინარე, ზემოაღნიშნული საშიშროების თავიდან აცილების მიზნით, ჩვენ, მრგვალი მაგიდის პოლიტიკურ ორგანიზაციებს, აუცილებლად მიგვაჩნია დაუყოვნებლივ განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებანი:

1. გადაისინჯოს და გაუქმდეს საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს უკანონო გადაწყვეტილება ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ ცრუპოლიტიკურ პარტიათა რეგისტრაციის შესახებ. შეწყდეს ოფიციოზის ყოველგვარი ჩარევა საარჩევნო კომისიის საქმიანობაში.

2. შეწყდეს ეკონომიკური საბოტაჟი და ბლოკადა, რასაც ახორციელებს ცენტრალური და ადგილობრივი კომუნისტური ხელისუფლება.

3. შეწყდეს ეროვნული მოძრაობის დევნა და დისკრედიტაცია.

4. კომუნისტური პარტიის მონოპოლიიდან გამოთავისუფლდეს ინფორმაციის საშუალებანი, პრესა, ტელევიზია, გამომცემლობები. შეწყდეს სახელმწიფო სახსრებისა და სხვა ფონდების ექსპლუატაცია კომუნისტური პარტიის მიერ.

5. გადაისინჯოს და გაუქმდეს კომუნისტური ხელისუფლების მიერ უკანონოდ დადებული ახალი ხელშეკრულებები.

6. სასწრაფოდ განხორციელდეს სამართალდამცავი ორგანოებისა და სხვა სახელმწიფო დაწესებულებათა დეპოლიტიზაცია.

7. გაუქმდეს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი.

მრგვალი მაგიდის პოლიტიკური ორგანიზაციები ვაცხადებთ, რომ თუ ზემოაღნიშნულ ღონისძიებათა პრაქტიკული განხორციელება თანმიმდევრულად არ დაიწყო ა/წლის 14 სექტემბრამდე, შეიქმნება საფრთხე დემოკრატიული არჩევნების ჩაშლისა, რის თავიდან ასაცილებლად მივმართავთ უკიდურესი ფორმის საპროტესტო აქციებს — არსებული ხელისუფლების გადადგომისა და საქართველოში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გაუქმების მოთხოვნით. ასეთ შემთხვევაში, შესაძლო შედეგებისათვის მთელი პასუხისმგებლობა დაეკისრებათ კომუნისტურ ხელისუფლებას და მის მოკავშირეებს, რის შესახებაც ვიმსჯელებთ ა/წლის 16 სექტემბერს ეროვნულ სტადიონზე 18 საათზე დანიშნულ სახალხო მიტინგზე, რომელიც მიეძღვნება მომავალ არჩევნებს.

საქართველო

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დაიწყო ხელმოწერა ჟურნალ-გაზეთებზე

**გაზეთი „საქართველო" მომავალი წლიდან ყოველკვირეული ხდება. ახე იყო ჩაფიქრებული წელსაც და ეს კარგად ახსოვთ ხელმომწერებს, მაგრამ ჩვენგან სრულიად დამოუკიდებელი მიზეზების გამო ეს წელს არ მოხერხდა. მომავალი წლიდან კი მკითხველი ნამდვილად მიიღებს ყოველკვირეულ გაზეთს. ათასგვარ ,ერთულესთან დაკავშირებით გაზეთების ფასი იმატებს. ჩვენი ერთი ნომრის ფასი კი იკლებს. თუ ადრე ერთი ნომერი 50 კაპიკი ღირდა, ახლა 40 ეღირება. გაზეთის გამოწერა ერთადერთი გარანტიაა, რომ მკითხველმა შეუფერხებლად მიიღოს იგი. მიზეზთა გამო, საცალო ვაჭრობით, ეს ხშირად მიუღწეველი ხდება. ჩვენი გაზეთის ინდექსია — 66447. ერთი თვით ხელმოწერის ფასია 1,73 მან.; 3 თვით — 5,19 მან; 6 თვით — 10,38 მან; ერთი წლით — 20,76 მან. ხელმოწერა ჯერჯეროვნად შეუზღუდავად მიიღება „სოიუზპეჩატის" ნებისმიერ განყოფილებაში.**


გამოიწერეთ

საქართველო

გამოიწერეთ


საქართველოს პარლამენტი

## „და ჩვენ რად ვმღერით ცალ-ცალკე?!"

**პოლიტიკა** ჭადრაკს ჰგავს. გაიმარჯვებს ის, ვინც უფრო მეტ სვლას გაითვლის. მითუმეტეს დიდი ფიქრი გვმართებს ქართველებს, ვინაიდან დიდ საერთაშორისო პოლიტიკურ ტურნირში ჩაბმულებს, იმთავითვე გვაკლია რამდენიმე მძიმე ფიგურა და ყოველი შეცდომა შეიძლება საბედისწერო აღმოჩნდეს. მომავალი არჩევნები მნიშვნელოვანი ეტაპია ჩვენთვის და ამიტომაც, ბუნებრივია, საყოველთაო ყურადღების ცენტრშია. ოპოზიციის ერთი ნაწილი გარკვეული მოსაზრებებით არ მონაწილეობს არჩევნებში, მაგრამ აქტიურ ბოიკოტს არ აცხადებს და დაინტერესებულია, რომ რაც შეიძლება მეტი პატიოსანი ადამიანი შევიდეს მომავალი ოფიციალური ხელისუფლების ორგანოში. ამასთან, იგი გამოთქვამს ეჭვს, რომ ამ პირობებში, როცა საქართველო კოლონიური ქვეყანაა, ხელისუფლების სათავეში მყოფი კომუნისტური პარტია განაგებს ფინანსებს, პრესას, ტელევიზიას, უშიშროების კომიტეტს, მილიციას და ჯარს, იგი ყველა ხერხით ეცდება მისთვის სასურველი პარლამენტის ჩამოყალიბებას და შეძლებს კიდეც ამას. ოღონდ ამჯერად ეს პარლამენტი კანონიერების საბურველში იქნება გახვეული. ამ აზრს შეიძლება დავეთანხმოთ ან არა, მაგრამ მასში რაციონალური მარცვლის დაუნახავობაც შეუძლებელია.

ოპოზიციის ის ნაწილი, რომელიც მონაწილეობს არჩევნებში, მიიჩნევს, რომ ეროვნული პარლამენტი მძლავრი იარაღი იქნება დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გზაზე. თუ სუბიექტურ ფაქტორებს გამოვრიცხავთ (რასაც ჩვენში, სამწუხაროდ, ხშირად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება), რეალურად ასეთ სურათს მივიღებთ: ამ არჩევნებში კომუნისტური პარტიის გამარჯვება ორივე მხარეს დამღუპველად მიაჩნია, ვინაიდან ამ შემთხვევაში მრავალპარტიული არჩევნები ფაქტიურად დააკანონებს საქართველოში საოკუპაციო ხელისუფლებას, რომელსაც მოქმედების დიდი თავისუფლება ექნება. ამ რეალობამ განაპირობა განსხვავებაც. თუ ერთი მხარე აქტიურად ჩაება საარჩევნო ბრძოლაში, რათა არ დაუშვას კომუნისტების გამარჯვება და თვითონ მოექცეს ხელისუფლების სათავეში, მეორე მხარე კომუნისტური პარტიის ჰეგემონიის პირობებში შეუძლებლად მიიჩნევს არჩევნების ჩატარებას და არ მონაწილეობს მასში.

ერთი რამ ცხადია, თუ ოპოზიციამ არჩევნები მოიგო, ბოიკოტის მომხრეებს პარლამენტისადმი დამოკიდებულების გადასინჯვა მოუწევთ, ხოლო დამარცხების შემთხვევაში, არჩევნებში მონაწილე ოპოზიციას ისევ ქუჩაში გასვლა მოუწევს, ოღონდ შეთხელებული რიგებით და შელახული ავტორიტეტით. ამიტომ ერის ინტერესებში არ შედის პარტიული დაპირისპირების გამწვავება და რომელიმე თვალსაზრისის აბსოლუტურ შეცდომად ან ჭეშმარიტებად გამოცხადება. პარტია შეიძლება შეცდეს, ერს შეცდომის უფლება არა აქვს. დღეს ჩვენ პარლამენტის არჩევნების გზა ავირჩიეთ!

დამაფიქრებელია, რომ ხელისუფლება, რომელიც თავისი არსებობის მანძილზე ფაქტიურად კრძალავდა ნებისმიერი სახის არჩევნებს და საერთოდ თავისუფალი ნების ყოველგვარ გამოხატვას, დათანხმდა მრავალპარტიული არჩევნების ჩატარებას, ვითომ მხოლოდ ოპოზიციის ძალისხმევით მოხდა ეს? ხომ არ დაინახა ხელისუფლებამ ამ არჩევნებში რაღაც მისთვის სასარგებლო? არ არის გამორიცხული, ეს რაღაც იყოს სწორედ ჩვენგან ნანატრი მრავალპარტიულობა. რაც მეტი პარტია თუ ბლოკი მიიღებს არჩევნებში მონაწილეობას, მით უფრო ხელსაყრელი მდგომარეობა შეექმნება კომუნისტურ პარტიას და მის მოკავშირეებს, რომლებიც ეროვნული მოძრაობის დაქსაქსულობის პირობებში იოლად მიაღწევენ საწადელს. საარჩევნო კამპანიის დროს ყოველი პარტია თუ ბლოკი საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე იმოქმედებს და ამ დროს უმთავრესი მიზანი — კომუნისტური პარტიისთვის ხელისუფლების ჩამორთმევა — ნებსით თუ უნებლიედ უკანა პლანზე გადაიწევს. ისიც სავარაუდოა, რომ ამ არჩევნებში **კომპარტიას პირდაპირ თუ არაპირდაპირ გვერდში დაუდგებიან გარეგნულად პატრიოტულად განწყობილი მოკავშირეები, რომლებიც სოლებივით ჩაესხმიან ეროვნული მოძრაობის ბზარებში და ოფიციოზიც რბილი ჩაქუჩით, უხმაუროდ სულ უფრო ღრმად ჩააჭედებს მათ.** ამ პირობებში ნაქები მრავალპარტიულობა შეიძლება ტროას ცხენი აღმოჩნდეს ჩვენთვის. გათიშე და იბატონეს მეთოდი ხელისუფლებას საუცხოოდ აქვს ათვისებული.

ასე რომ არ მოხდეს, ფორმალურად მრავალპარტიული არჩევნები პრაქტიკულად ორპარტიულად უნდა გაიმართოს, მთელი ეროვნული მოძრაობა უნდა გამოვიდეს ერთიან ანტიკომუნისტურ ბლოკში გაერთიანებული. იმდენად დიდი რამ შეიძლება წავაგოთ, რისკის უფლება არ გვაქვს. თუ მოქმედი პარლამენტი გვინდა, ეროვნულმა ძალებმა პარლამენტში ადგილების სულ მცირე ორი მესამედი უნდა დაიკავოს. მართალია, დრო ცოტაა დარჩენილი, მაგრამ შეიძლება ორგანიზაციული საკითხების მოგვარება. უნდა შევეგუოთ იმასაც, რომ ამ გაერთიანების შედეგად ზოგმა პარტიამ შეიძლება რამდენიმე ადგილი დაკარგოს, მაგრამ სამაგიეროდ მოიგებს საქართველოს ინტერესები.

უნდა ითქვას, რომ ამგვარად გაერთიანების შემდეგაც კი ძნელია უეჭველი გამარჯვება უწინასწარმეტყველო ეროვნულ მოძრაობას, იმდენად გამოცდილ, კარგად ორგანიზებულ და ვერაგ ძალასთან უხდება მას დაპირისპირება. მართალია, კომუნისტურმა პარტიამ იმდენად უნიჭოდ მართა ქვეყანა, რომ დედამიწის მეექვსედი ნაწილი პარტახად აქცია, მაგრამ, ამავე დროს, ხელისუფლების შენარჩუნების იშვიათი უნარი გამოამჟღავნა და თუ ორმა-სამმა ან მეტმა ბლოკმა ცალ-ცალკე იბრძოლა გამარჯვებისთვის, საბოლოოდ ხელთ შეგვრჩება ხალხის მიერ კანონიერად კურთხეული, ეროვნული კოლორიტით შეფერილი, კრემლის ნების აღმასრულებელი პარლამენტი და რამდენიმე ქარის წისქვილებთან დაუღალავად მებრძოლი დეპუტატი. ეს რესპუბლიკაში სრული დესტაბილიზაციის და ქაოსის წინაპირობაა. ასე რომ არ მოხდეს, ეროვნული მოძრაობა უნდა ემსგავსოს მრავალხმიან ქართულ სიმღერას, სადაც ზოგი პირველს იტყვის, ზოგი — ბანს და შეავსებენ ერთმანეთს. წინააღმდეგ შემთხვევაში არჩევნებში ჩაბმა წინდაწინვე სანახევროდ წაგებული ომის დაწყება იქნება. გამოვა, რომ ჩვენივე დასაკლავი დანა გავლესეთ და მივართვით მტერს.

ეს არის ერთი ძირითადი პრობლემა, რომელიც აუცილებლად უნდა მოგვარდეს. არის აგრეთვე მეორე საკითხიც, რომლის გადაჭრაც ასევე ძალიან საშურია არჩევნებამდელ პერიოდში.

საქართველოში ოთხასი ათასამდე კომპარტიის წევრია. გამოდის, რომ ჩვენი ქვეყნის თავისუფლებისათვის ბრძოლის ერთ მნიშვნელოვან ეტაპზე ჩვენივე თანამემამულეებთან გვიხდება ბრძოლა. არადა, მათ უმრავლესობას ისევე აწუხებს ქვეყნის ბედი, როგორც სხვას. რასაკვირველია, არჩევნებში კომუნისტურ პარტიასთან დაპირისპირება სრულიადაც არ ნიშნავს მათთან პირადულ დაპირისპირებას კომუნისტური პარტიის ერთი თავისებურების გამო — იგი აერთიანებს არა ერთი რწმენითა და მიზნით გამსჭვალულთ, არამედ სხვადასხვა (ყველა საბჭოთა მოქალაქისათვის კარგად ცნობილ) გარემოებათა გამო საკუთარი რწმენის უარმყოფელ (თუნდაც ფორმალურად) ადამიანებს. ამჟამად ძნელია ოდნავ მაინც მოაზროვნე ადამიანის მონახვა, ვისაც მართლა სწამს „მშობლიური" პარტიის მაღალი იდეალების. საერთოდაც საეჭვოა, რომ ამგვარი მორწმუნენი ოდესმე მაინც მრავლად იყვნენ, რომელთაც, სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ, საკუთარი ძმების და მშობლების ხვრეტა, ქვრივობლების ხალხის მტრებად გამოცხადება და მამულის დამაქცევრებისთვის გუნდრუკის კმევა კაცობრიობის ბედნიერი მომავლის საწინდარი ეგონათ. ცნობილი გამოთქმა, რომელიც ხშირად ისმის — „მათ ასე სწამდათ" — უდნავადაც არ ასახავს სიმართლეს. მათ კი არ სწამდათ, ძალით იწამეს, თვითგადარჩენის ინსტინქტმა სძლიათ. ჩანს, ადამიანს ეშინია ერქვას ბოროტი და მასში იმდენად დიდია სიკეთისადმი სამსახურის თანდაყოლილი სურვილი, რომ ბევრმა ბოროტებას დაარქვა სიკეთე, ანტიქრისტეს — ქრისტე. კომუნისტური პარტიის იდეალების არ სწამდათ არა მხოლოდ რიგით წევრებს, არამედ მის შემქმნელ-გამავრცელებლებსაც. ვინც პარტიის რეალურ ისტორიას იცნობს, კარგად მოეხსენება (ვინც არ იცნობს, წინ აქვს ეს „სიამოვნება"), რომ მისი ბელადებისთვის იგი მხოლოდ საშუალება იყო ძალაუფლების მოსაპოვებლად და პირადი ამბიციების დასაკმაყოფილებლად, მაგრამ ძველს თავი დავანებოთ და ახალს მივხედოთ. ალბათ ყველას გვახსოვს, რას ნიშნავდა პარტიის წევრობა 70-80-იან წლებში, როცა ყოველ ნაბიჯზე გამოკრული იყო ლოზუნგი: „პარტია ჩვენი ეპოქის გონება, სინდისი და ღირსებაა", — და ქვეყანაში ტუტუცობის, უსინდისობის და უღირსობის თვალისმომჭრელი ფეიერვერკი იყო გამართული. ამ პერიოდში, ან იქნებ უფრო ადრეც, ხსენებული „მიამიტური" გამოთქმა — „ჩვენ ასე გვწამს", შეიცვალა უფრო მოქნილით: „ასეა საჭირო!" თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ წესიერ საზოგადოებაში პარტიის წევრობა არ ითვლებოდა დიდად ზნეობრივ და საქებარ მოვლენად და ძნელად, რომ ვინმეს, თუნდაც კრებებზე დიდად მჭევრმეტყველს, შინაურობაში თავისი პარტიულობით თავის მოწონება გაებედა.

უფრო კონკრეტული თუ ვიქნები, არ მახსოვს ვინმე ჩემს ნაცნობთაგან რწმენის გამო გამხდარიყოს კომპარტიის წევრი, თუმცა ჩემი ნაცნობობის წრე საკმაოდ ფართოა და მოიცავს მწერლებს, მუშებს, გლეხებს, რეჟისორებს, ინჟინრებს, იურისტებს, ჟურნალისტებს, უმაღლეს სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლებს, სკოლის პედაგოგებს, თანამდებობის პირებს, სპორტსმენებს, სტუდენტებს და ეგრეთ წოდებულ ფუნქციონერებს, თუ ვცდები, თვითონ ბრძანონ. ასე არიან ალბათ გაკომუნისტებულები სხვების ნაცნობებიც.

ვინც ვერ მოესწრო ამ დროს, მისთვის შეიძლება პარადოქსალურად ჟღერდეს, მაგრამ ბევრი პიროვნება პარტიის წევრობის მიუხედავად თავისი სიტყვით და საქმით მაინც ანტიკომუნისტად რჩებოდა. მოკლედ რომ ვთქვათ, ეს ყველაფერი ძალიან წააგავს ძნელბედობის ჟამს გამაჰმადიანების პროცესს.

კომუნისტური პარტია, პრინციპში, თავისი არსით, ეს არ არის პარტია, თუკი გავითვალისწინებთ, რომ პარტია წარმოადგენს ადამიანთა ჯგუფს, რომელთაც გარკვეულ შეხედულებათა სისტემა აერთიანებთ. იგი კი სინამდვილეში არის ტოტალიტარული სახელმწიფოს მმართველობის აპარატი, რომელიც დაპყრობილ თუ გავლენის სფეროში მოქცეულ ქვეყნებში წარმოდგენილია მეხუთე კოლონის სახით. მისი მიზანია ერის გადაჯიშება და იმპერიის ცენტრისთვის სულიერად და ფიზიკურად დამონება. ამ პარტიის სულისკვეთებას ცხადად გამოხატავს მისი უმთავრესი ლოზუნგი — „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით" — გარეგნულად ვითომდა ინტერნაციონალისტური, ველიკორუსულ შოვინისტურად გადააზრებული, რაც ფაქტიურად მოწოდებაა დაპყრობილი ხალხების გაპროლეტარება-გაჩანაგებისკენ, მათი იმპერიისთვის შეერთებისაკენ. ამ მიზანს ემსახურებოდა და ემსახურება ეს პარტია და მისი ფილიალები სხვა ქვეყნებში. სკკპ სხვა არაფერია, თუ არა მსოფლიო ბატონობაზე მეოცნებე აპარატის იდეოლოგია, მისი ანტირელიგია. ამ ვითარებაში სრულ გაუგებრობაზეა დამყარებული ქართულ კომპარტიაზე საუბარი, რომელიც მეტასტაზია სკკპ-სი და ისევე ვერ მოსცილდება მას, როგორც ბოჩოლა ცურს, ვინაიდან იქიდან იწოვს იგი სასიცოცხლო ძალას. სახელის გამოცვლა მოვლენის არსს ვერ ცვლის.

რატომ დაგვჭირდა კომუნისტურ პარტიაზე საუბარი. ამ არჩევნებში საქართველომ დიდი მორალური გამოცდა უნდა ჩააბაროს, უნდა გამოჩნდეს, რამდენად ვართ მზად შემდგომი ბრძოლისთვის. ამ დროს კი მრავალი ათასი ქართველი რჩება კომპარტიის წევრად და ამით ნებსით თუ უნებლიედ მოწინააღმდეგეს აძლიერებს მორალურად და ფიზიკურად. რა არის ეს, ქართული დაუდევრობა?! არადა თითქოს შეიცვალა სიტუაცია, მაინც უმნიშვნელო ნაწილი თუ გამოვიდა მხოლოდ პარტიიდან. სხვა მრავალ მიზეზთა შორის, ანგარიშგასაწევია ისიც, რომ ბევრი გალიზიანდა მავან მედროვეთა საქციელით, რომელნიც პარტიის ზეობის ხანაში მის მებაირახტრეობას არავის უთმობდნენ, ხოლო როცა დაინახეს, გემს წყალი შესდისო, აყვირდნენ, შემხედეთ, რა გმირი ვარ, პარტიიდან გამოვდივარო. სწორედ მათდამი პროტესტის ნიშნად რჩება ბევრი შინაგანად წესიერი კაცი პარტიაში. ფიქრობს, ახლა რაღა ვაჟკაცობაა პარტიიდან გამოსვლაო. ზოგი ფრთხილობს, ძველი დრო არ დაბრუნდესო. ზოგი წამოეგო დემაგოგთა ანკესზე, თითქოს ეროვნული მოძრაობა კომპარტიის წევრების მიმართ ანგარიშის გასწორებას აპირებდეს; ზოგსაც უბრალოდ ეზარება უბრალო პროცედურის შესრულება. ამ კატეგორიის ადამიანები შეადგენენ დღეს საქართველოში კომპარტიის წევრთა უმრავლესობას. მათი კომუნისტობა პირობითია, მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებს და მათგანვე სასაცილოდ აღებული. მაგრამ ეს რაოდენობაა სწორედ, პარტიას მორალურ ავტორიტეტს რომ უქმნის. სამწუხაროდ, ჩვენივე ძმები გვევლინებიან გველეშაპის დონორების როლში. ზარივით რეკს ილიას გაფრთხილება: „შენი რაა, რომ მსახურებ შენს დამღუპველ ოსმალეთსა". იქნებ რამე სარგებელს ელოდება ეს ხალხი არჩევნებში კომპარტიის გამარჯვებისგან?! არც არაფერს. ერთი მუჭა ფუნქციონერები იცხოვრებენ ძველებურად უზრუნველად, კომუნისტთა უმრავლესობა კი ბეჯითად გადაიხდის პარტიის საწევროს.

არის მომენტები, როცა ფორმალურ მხარეს დიდი მნიშვნელობა ენიჭება. სწორედ ასეთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება კომპარტიის რიგებიდან გამოსვლა არჩევნების წინ. ეს ის პერიოდია, როცა ყოველმა პარტიულმა საკუთარი სინდისის ხმას უნდა მოუსმინოს და გადაწყვიტოს, რჩება თუ არა საბოლოოდ პარტიის რიგებში და კისრულობს თუ არა იმ პასუხისმგებლობას, რასაც ეს წევრობა აკისრებს?!

საქართველოს დროშის ქვეშ აპირებს დგომას თუ დამპყრობლის ბაირაღს ამოეფარება? წავიდა ისეთი უნიათო არგუმენტების დრო, როგორიცაა: „პარტიაშიც საჭიროა კარგი ხალხი". იქნებ გავარღვიოთ ბოლოსდაბოლოს სიცრუის ჯებირი. დავუტოვოთ პარტია მათ, რომელთა მზეც კრემლიდან ამოდის, ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროთ, არავინ შეეცილებათ მაგ სიკეთეში.

ეს არჩევნები გენერალური რეპეტიციაა, რომელმაც უნდა გამოაჩინოს, რანი ვართ და რა გვინდა, თუ ვჯობეთ საკუთარ თავს და ქაჯეთის ციხეს შემოწყობილებმა ერთმანეთს ხელი გავუწოდეთ, მაშინ იმ დიდი კაცის ნათქვამი აგვიხდება და „არამცთუ ეშმაკის ურიცხვ მიმდევართა, არამედ თვით ეშმაკებსაც ადვილად დავამარცხებთ!"

ვასილ მაღლაფერიძე

# ხვალემ სთქვას მტყუან-მართალი?!

**ხისხლიანი** აპრილის ამბების შემდეგ ხელისუფლება მკვეთრად შემობრუნდა ხალხისაკენ. აპრილმა გაგვაერთიანა და სიმართლის დასადგენად დიდი თუ პატარა ერთად შეიკრა. მთავრობის წევრებიც ხელალებით გმობდნენ მკვლელებს, ცხადია, საკავშირო უზენაესი ყრილობის ტრიბუნაზე გამოსულ ჩვენი ხელისუფლების მეთაურს, რომელიც ჭალათ გენერალს აშავებდა, იმ წუთში ყველანი მხარს ვუჭერდით.

ისტორია არ იცნობს კარგსა და ცუდ მმართველებს. მათი შეფასება ამ ცნებით, საერთოდ, შეუძლებელია. სამაგიეროდ, უახლესი ისტორია მაინც, იცნობს ისეთ პოლიტიკურ სისტემებს, რომელიც გამორიცხავს მმართველის უფლებას ხალხი ბანაკებში გამოამწყვდიოს. ჩვენ კი ზუსტად ასეთი სისტემა გვაქვს — ყოვლად უკანონო, ხელმძღვანელის პირადულ ნებაზე დაფუძნებული სისტემა.

დღეს საუბარიც კი ზედმეტია, რომ ხალხი და ხელისუფლება ერთად იყოს. ეს ხელისუფლება ხომ ხალხს არ აურჩევია, არც ჩვენს წინაშეა ანგარიშვალდებული. საქართველოს უზენაესმა საბჭომ ისე აირჩია საკუთარი პრეზიდიუმის თავმჯდომარე, არც უწყოდა, რისთვის აძლევდა ხმას. მერე კი გამოერკვნენ, ზოგ-ზოგმა ისიც იკითხა: ხომ არ ვიჩქარეთო, მაგრამ რაღა დროს, კაპიტულაცია უკვე გამოცხადებული იყო.

ეს არაკომპეტენტურობაა — არაკომპეტენტურობის ნიაღვარი, რომელიც თავის გასამართლებელ საბუთს არ უტოვებს დეპუტატებს...

ახლახან სესიაზე მიღებულმა კანონმა დემოკრატიული, მრავალპარტიული არჩევნების ჩატარება უნდა უზრუნველყოს. მოგვცეს ხალხის რჩეული უზენაესი საბჭო. მან კი სამართლებრივი, სუვერენული საქართველო.

ვიკითხოთ, ხელს აძლევს კი აპარატს ასეთი არჩევნები? რასაკვირველია, ხელს არ აძლევს, იმდენ ხანს იმიტომაც არ გამოაქვეყნა საარჩევნო კანონპროექტი, იმიტომაც ცდილობდა, რადაც უნდა დაჯდომოდა, სესიაზე თავისი გაეტანა. რესპუბლიკის ხელისუფალთ მოულოდნელობის ეფექტი სჭირდებათ, რათა ოპოზიციას ვერ მოესწრო ახალი კანონის გაცნობიერება და იგი სასწრაფოდ თავის სასიკეთოდ გამოეყენებინა.

ხელისუფლების სათავეში თუ უზნეობა, ტყუილი დევს, მას ვერაფერი უშველის, მისი გარდაქმნა შეუძლებელია. 70-ზე მეტი წლის მანძილზე ასეთ საფუძველზე აგებული ხელისუფლება გვყავს.

უზენაესი საბჭო კანონმდებელია, მინისტრთა საბჭო კი ამ კანონების აღმასრულებელი. ამის გარდა სხვა რამ ფუნქცია ამ ორ ორგანოთაგან სამართლებრივ სახელმწიფოში არც ერთს არ აკისრია. მაგრამ საქართველო სუვერენული ქვეყანა, სამართლებრივი ქვეყანა არ არის და, რა თქმა უნდა, ჩვენი კანონმდებელი, განმკარგულებელი თუ აღმასრულებელი ორგანოები ხსენებულ ფუნქციებს ვერ შეასრულებენ.

საქართველოს მინისტრთა საბჭოს გაფართოებულ სხდომაზე 1990 წლის 21 ივლისს თავის გამოსვლაში მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ბატონმა ნოდარ ჭითანავამ ბრძანა: „სამწუხაროდ, ტრადიციას დიდი ძალა აქვს: ზოგიერთს მთავრობა საკუთარი საყოფაცხოვრებო საკითხების მოგვარებისა და კეთილმოწყობის ბიუროს მსგავს ორგანიზაციად მიაჩნია დღესაც“. საინტერესოა, რა არის, რას აკეთებს დღევანდელი საქართველოს მთავრობა?

მთავრობა საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური კრიზისიდან გამოყვანას ვერ ახერხებს, მოსახლეობა ვერ შეუმოსავს, ვერ დაუპურებია, კანონები არ გააჩნია, რომ შეასრულოს. რა უნდა აკეთოს მთავრობამ? მეტიც, მთავრობის თავმჯდომარე თვითონვე აღიარებს: ხელისუფლების მიმართ ნდობის დეფიციტიაო.

მე შორს ვარ ვინმეს პიროვნული შეფასებისაგან. ასეთი მძიმე ტვირთი ღმერთმა ნუ დამაკისროს, მაგრამ ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში მთავრობა, რომელსაც ნდობის ვოტუმი არ გააჩნია, უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ უნდა შეცვალოს, მაგრამ რადგან არაცივილიზებულ ქვეყანაში ვცხოვრობთ, სხვათა შორის, არც პარლამენტსა აქვს ამის ზნეობრივი უფლება.

გულუბრყვილოა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის თეზა: მინისტრთა საბჭო კეთილმოწყობის ბიურო არ არისო. ეს ფუნქცია ხომ თვითონ იკისრეს, ისიც დაენანათ, პარიკმახერმა საპარიკმახეროს დამოუკიდებლად რომ უპატრონოს, მისი მოხსნადანიშვნის უფლებაც კი დაიტოვეს და ახლა უკვირთ?!

მთავრობის თავმჯდომარემ თავის გამოსვლაში მწვავედ გააკრიტიკა საწარმოო გაერთიანება „საქთერზეთმრეწვში“ შექმნილი მდგომარეობა. გულგრილი ვერც ჩვენ, მოქალაქეები დავრჩებით, რადგან გაერთიანება ჩოვარეზე კი არა, საქართველოშია, მის ორგანიზაციებში ექვსი ათასი საქართველოს მცხოვრები მუშაობს, მოკლედ გულგრილობა არ შეიძლება, ახლა ფაქტებს მივყვეთ.

წლევანდელი წლის აპრილში გაერთიანების დირექტორთა საბჭომ საქართველოს ამ უნიკალურ დარგში მუშაობის ჩაშლისა და კოლექტივში შექმნილი არაჯანსაღი მდგომარეობის გამო უნდობლობა გამოუცხადა გენერალურ დირექტორს და იგი თანამდებობიდან გადააყენა. გაერთიანების გენერალურ დირექტორად ალტერნატიულ საფუძველზე ერთხმად აირჩიეს ამავე გაერთიანების იურისტი.

ახალი დირექტორი ერთ-ერთი საზოგადოებრივი ორგანიზაციის წევრია და არა სკკპ-სი, რასაც ჩვენი პრემიერი იმის საბუთად იყენებს, არჩევნებზე ამომრჩევლებს არჩევანისაკენ საზოგადოებრივი ორგანიზაციები უბიძგებდნენო.

... „გაერთიანებაში წლების მანძილზე შექმნილი იყო არაჯანსაღი მდგომარეობა, რამაც უარყოფითად იმოქმედა დარგის განვითარებაზე, მის ეკონომიკაზე“, — ამბობს თავმჯდომარე. კი მაგრამ, წლების მანძილზე გაერთიანებას ხომ პირადად იგი კურირებდა, რატომ დაუშვა „არაჯანსაღი მდგომარეობა?“

გაერთიანება „საქთერზეთმრეწვის“ საწარმოთა და ორგანიზაციათა შრომითი კოლექტივების წარმომადგენელთა კონფერენციამ წლევანდელი წლის 15 ივნისს მოიწონა დირექტორთა საბჭოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება და დაბეჯითებით მოითხოვა საკავშირო გაერთიანებისა და რესპუბლიკის მთავრობისაგან გაერთიანების ყოფილი ხელმძღვანელის განთავისუფლება და ახლის დამტკიცება. შრომითი კოლექტივის კონფერენციას ამის სრული უფლება აქვს.

ამის საპასუხოდ მთავრობამ გადაწყვიტა დარგის კომპლექსური შემოწმება რესპუბლიკის მაკონტროლებელი და ადმინისტრაციული ორგანოების მონაწილეობით, რომელთაც მიიღეს შესაბამისი დავალება.

თავის დროზე კოლექტივი თვითონ ითხოვდა ასეთ შემოწმებებს. რა თქმა უნდა, იგი საჭირო და სასარგებლოა ყოველი კოლექტივისათვის. სწორედ გაერთიანებაში არსებულ დარღვევებს და ნაკლოვანებებს ეხებოდა გაერთიანების მუშაკთა არაერთი განცხადება და საჩივარი ზემდგომ ორგანოებში, მაგრამ ადრე მათ ყურადღება არავინ მიაქცია. მაშინ კი, როცა კოლექტივმა გადაწყვიტა, თვითონ მიეხედა თავისი საშინაო საქმეებისათვის და პრინციპული ხასიათის გადაწყვეტილებები მიიღო, რესპუბლიკის მთავრობის ასეთი დავალება დამსჯელი ღონისძიების შთაბეჭდილებას ტოვებდა და შეიძლება მას გაერთიანების კოლექტივის შემდგომი დესტაბილიზაცია გამოეწვია. ამიტომ გაერთიანებამ ითხოვა შემოწმების გადავადება გარკვეული დროით, მაგრამ კოლექტივის აზრს ანგარიში არ გაუწიეს. ამიტომ კოლექტივმა შემმოწმებლებს მუშაობის საშუალება არ მისცა. გაერთიანების მუშაკებმა 27 ივლისიდან უვადო გაფიცვა გამოაცხადეს და მისი შეწყვეტის პირობად რამდენიმე მოთხოვნა წამოაყენეს. 1. გაუქმდეს გაერთიანების დამრბევი შემმოწმებელი კომისია; 2. დადებითად გადაწყდეს ახალი გენერალური დირექტორის დამტკიცება.

გაერთიანების მოთხოვნებს მხარს უჭერენ საქართველოს ზოგიერთი რაიონების სახალხო კონტროლის კომიტეტების, აღმასკომის თავმჯდომარეები... „თავმჯდომარეებო, მე მინდა გითხრათ, — ცხრა კაცზეა ლაპარაკი, — ძალიან შორს შეგიტოპავთ, ამიტომაც ამ რაიონების თავმჯდომარეებს მთავრობა დღეს ნდობას არ გიცხადებთ“, — ბრძანებს პრემიერი. ნათქვამის ეთიკურობაზე რომ არაფერი ვთქვათ, მაინც დამშვიდდით, პატივცემულო თავმჯდომარეებო, ნუ იდარდებთ. არც ჩვენს მთავრობას ენდობა ხალხი, ასე, რომ, სახიფათო ბევრი არაფერია.

ის, რასაც გაერთიანების წინააღმდეგ დღეს მთავრობა აკეთებს, კიდევ უფრო გაამწვავებს მდგომარეობას. თვითონ მთავრობას კი ასეთი დაწვრილმანება ნამდვილად უტეხს ავტორიტეტს, მის ისედაც დაბალ რეიტინგს, კიდევ უფრო დაბლა სწევს. მეტიც, ახლახან საქართველოს მთავრობის წარდგინებით საკავშირო სამედიცინო მრეწველობის სამინისტრომ გაერთიანების გენერალურ დირექტორად მცხეთის რაიკომის ყოფილი პირველი მდივანი დაამტკიცა. სხვა სუნი უდის ამ საქმეს!

კოლექტივს კვლავ აუარეს გვერდი, პლუს „ჩვენმა მთავრობამ“ გაერთიანებაზე საკავშირო ორგანოს პრიმატი აღიარა და ამით ძალაუნებურად რესპუბლიკის ეკონომიკური დამოუკიდებლობის მოწინააღმდეგედ გამოვიდა. ეს ერთი კონკრეტული მაგალითი გახლავთ, როცა ხელისუფალი არ უნდა ასრულებდეს კეთილმოწყობის ბიუროს ხელმძღვანელის როლს. ამას გარდა, ხელისუფალი უნდა გაერკვეს, რომ დრო შეიცვალა, დიქტატის დრო წავიდა და გაფიცული კოლექტივი თავის ინტერესებს მის ამბიციებს ვერ ანაცვალებს.

ისევ საქართველოს ეკონომიკურ დამოუკიდებლობას დავუბრუნდეთ. ჩვენი მთავრობა მის მისაღწევად ეტაპობრივ გზას გვთავაზობს: „ჩვენი პოზიციაა: ეკონომიკური დამოუკიდებლობა აუცილებელია... ამის მიღწევა მხოლოდ ეტაპობრივად შეიძლება და არა უფსკრულის ორი ნახტომით დაძლევის აბსურდული გზით... ესაა ჩემი პოზიცია. ამ საკითხთან დაკავშირებით... საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლით დამოუკიდებლობას დღეს ფაქტობრივად ვიღებთ. ვართ მზად ამისათვის? ჩვენ ამისთვის მზად არა ვართ“.

რამდენად სწორია მთავრობისეული პოზიცია? თვით ამ პოზიციის მრავალნაირი ინტერპრეტაცია შეიძლება, მაგრამ ეკონომიკური დამოუკიდებლობის მიღწევა ეტაპობრივად აბსურდია. რაც უფრო დიდხანს დავრჩებით სსრკ ერთიანი სახალხო სამეურნეო კომპლექსის წევრი, მით უფრო ძნელი გახდება დამოუკიდებლობის მოპოვება. თუ მთავრობას დამოუკიდებლობისათვის მოუმზადებლობა არსებული ეკონომიკური კავშირების მსხვრევით გამოწვეული კრიზისი ჰგონია, არც მაშინაა სწორი. საბაზრო ეკონომიკა კავშირებს არათუ დაამსხვრევს, პირიქით, გაამყარებს და ისეთი უსაზღვრო ინტეგრაცია მოხდება, დამოუკიდებლობისათვის საერთოდ არავის ეცლება. ეტაპობრივი გზა მომაკვდავი სახელმწიფოს აგონიის გაგრძელებაა და უშედეგოა. გადავხედოთ აღმოსავლეთ ევროპის, გნებავთ გფრ-სა თუ იაპონიის მაგალითს. განა მათი აღორძინება ეტაპობრივად მოხდა? ეტაპებით გატიცება შეინარჩუნებს მბრძანებლურ-ადმინისტრაციულ ეკონომიკას, დააუძლურებს პირად ინიციატივას. ალბათ, ძნელი არ უნდა იყოს იმის მიხვედრა, რომ მთავრობას თუ მან ეკონომიკა კარდინალურად არ გააჯანსაღა, დიდი დღე აღარ უწერია.

მეორე უკიდურესობაცაა: გაჯანსაღებისათვის არაფერი კეთდება. მომაკვდავ სხეულს თანდათანობით, ნაწილ-ნაწილ არ მკურნალობენ.

მკურნალობის ხერხების შერჩევა კი ადმინისტრატორმა არ უნდა იკისროს. საბაზრო ეკონომიკა მთავრობას ზოგად ფუნქციებს, მაკოორდინირებელ როლს უტოვებს. მთავრობა თუ თითოეული საწარმოს მართვას შეეცადა — ახლა კი ცდილობს — საბაზრო ეკონომიკა ჩვენს ერს ცრემლის გარდა არაფერს მოუტანს.

ლოგიკურია, რომ მთავრობა საბაზრო ეკონომიკისათვის მზად არ არის. უმუშევართა დასაქმებისათვის იგი საწარმოებში ცვლიანობის გაზრდის გვთავაზობს. უკაცრავად, ეს ეკონომიკური ნონსენსია.

სამწუხაროდ, კვლავ ებრძვიან კერძო საკუთრებას. თურმე ქონებრივი დიფერენციაციის შეუჩერებელმა გაღრმავებამ კონსტრუქციულის ნაცვლად შეიძლება დესტრუქციული გავლენა მოახდინოს საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებზე. პირიქით, რაც უფრო მეტია მდიდარსა და ღარიბს შორის ზღვარი, დღეისათვის ასეთი სახელმწიფოები ყველაზე სვიანად არიან. სხვაა, რომ ხელისუფლებამ ეკონომიკურ ასპარეზზე ყველას თანასწორუფლებიანობა, [illegible]რობების სოციალურ-სამართლებრივი დაცვა მოახერხოს. მთავრობის დავალება, შეირჩეს უმუშევართათვის პოტენციური დასაქმების ადგილები, განუხორციელებელი უტოპიაა. ერთადერთი ადგილი, სადაც უმუშევარი დასაქმდება, კერძო ბიზნესია. მაგრამ ჩვენი ხელისუფალნი „... კოლექტიური საკუთრების სულ უფრო მასშტაბური დამკვიდრებით“... გვპირდებიან შველას. გასაგებიცაა, კოლექტიური საკუთრება მთავრობას განუსაზღვრელი დიქტატის უფლებას აძლევს.

რა მოგველის ხვალ?

მთავრობისეული კონცეფციით კარგი არაფერი მოგველის. ქაოსში არც ხელისუფალთ დაადგებათ უკეთესი დღე, უკმაყოფილების აზბორქრებული ზღვა მათაც წალეკავს. საოცარი ულოგიკობაა, სხვისი ტანჯვით საკუთარი ტკივილი შეიმსუბუქო, ამიტომ მთავრობას უკეთ წაუვა საქმე თუ კარგად, ეს ჩვენ ვერ გვიშველის. ახლა მიზნის ბოლომდე მიყვანაა საჭირო. კომპეტენტური, პატრიოტი, არაამბიციური პარლამენტის შექმნა. მერე ერსაც და ბერსაც ეს უკვე ჩვენი, ღვიძლი საკანონმდებლო ორგანო მიხედავს.

ერთი სიტყვით, ბრძენი მთავრობა გვჭირდება; ნამდვილი, დახვეწილი ინტელიგენტები, რომელიც თავისი სიბრძნით გამშვიდებს და მისი გჯერა, რომელიც არ შეგაწუხებს ყალბი პათეტიკით და დეკლარაციულობით.

მთავრობა ისტორიას ანდობს მტყუან-მართლის განსჯას, ისტორიის ათწლეულებს ხალხი ველარ დაელოდება. გარდა ამისა, არის ერთი ცნობილი მოაზროვნის ნათქვამი: „რაც უნდა ბრწყინვალედ მოქმედებდე, დიდებული მაინც ვერ გახდები თუ შენი ქმედება დიდებულ განზრახვათა შედეგი არ არის“.

მოთმინების ფიალა აივსო — მრევლი თავის წართმეულ წილს ითხოვს!

**გია ზუბაშვილი**

**P.S.** დიდი ტანჯვა-ვაებით ჩაიარა საქართველოს უზენაესი საბჭოს სესიამ. მართალია, გონივრული კომპრომისი მიღწეულია. ორი კანონპროექტის ჰიბრიდი კანონიც მივიღეთ, მაგრამ ამასთან ერთად პარლამენტის არაკომპეტენტურობა, რესპუბლიკის ხელმძღვანელთა დაუოკებელი სურვილიც ვიხილეთ — არაფრად ჩააგდოთ ერის ინტერესები.

მთავრობა კვლავ ერთგულია თავისი კურსისა — ხალხის დაშინება, სავარძლის შენარჩუნების გარანტია. არაფერი დაიშურეს დასაშინებლად: შიმშილი მოგველისო. არადა იმაზე თუ იფიქრეს, პანიკას აყოლილი მოსახლეობა ხელოვნურად რომ გააძლიერებდა ისედაც უზარმაზარ დეფიციტს?! მეტაც, სესიაზე გამოსული მთავრობის თავმჯდომარე კუთხური სეპარატიზმის პრობლემას აყენებს...

პოლიტიკურ-ეკონომიკური კრიზისი დაიწყო. სამწუხაროდ, არ ჩანს ლოცმანი, რომელიც მშვიდობიანად გაგვარიდებს კრიზისის რიფებს. ეს ლოცმანი სამართლებრივი სახელმწიფოა. ნუ ფიქრობს ჩვენი პარლამენტის თავმჯდომარე, რომ იგი ხალხის ნებითაა არჩეული, რადგან მისი კანდიდატურა ანექსირებული ქვეყნის დანიშნულმა პარლამენტმა აირჩია. მოკლედ, თავისუფლება, საკუთარი თავის სხვის ჩაურევლად განკარგვა მოგვწყურდა. ის თავისუფლება, რომლისაც ჩვენს მეცხოვრე მთავრობას ცეცხლივით ეშინია.

# საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეს ა. კარანაძეს

მოსარჩელე: **ადეიშვილი ავთანდილ სევერიანეს ძე**
სამტრედიის სახ. დეპუტატთა აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.

მოპასუხე: **ჭითანავა ნოდარ ამბროსის ძე**
საქართველოს სსრ მთავრობის თავმჯდომარე

**სასარჩელო განცხადება**

(საქ. სსრ სამოქალაქო სამართლის კოდესის მე-7 მუხლი პატივისა და ღირსების დაცვის შესახებ).

1990 წლის ივლისს საინფორმაციო პროგრამა „ვრემიას“ შემდეგ საქართველოს მთავრობის თავმჯდომარემ ჭითანავამ გააკეთა ინფორმაციული ხასიათის გამოსვლა საქართველოს სსრ ტელევიზიით, სადაც განაცხადა, რომ ქ. სამტრედიაში მიმდინარე აქცია არის ანტიეროვნული, ანტიდემოკრატიული, ეწინააღმდეგება ქართველი ხალხის ინტერესებსა და სხვ.

მთავრობის თავმჯდომარის აზრით, დემოკრატიული არჩევნებისათვის ჩატარებული აქცია არ გამომდინარეობს ხალხის ინტერესებიდან. ამასთან ერთად მან საინფორმაციო ხასიათის გამოსვლაში შეურაცხმყოფელი ტონით მოითხოვა აქციის ორგანიზატორების სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა და დასჯა.

მან არაორაზროვნად განაცხადა, რომ მე ხელს ვუწყობ სისხლისღვრას, გასარკვევია ჩემი, როგორც პიროვნების საკითხი. მართალია, მას პირდაპირ არ მიუთითებია, რომ მე ვარ კორუმპირებული პიროვნება, მაგრამ ჩემი საკითხის შემდეგ გადავიდა უშუალოდ კორუფციაზე და დააყენა საკითხი სამტრედიის რაიონის შემოწმების შესახებ. ამით ჭითანავამ საზოგადოებრიობას შეუქმნა აზრი და არაპირდაპირი მიმართულება მისცა უსაფუძვლო ბრალდებას ჩემს მიმართ — შეეცადა დაერწმუნებინა ტელემაყურებელი, რომ სამტრედიის რაიონის აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე შესაძლებელია იყოს კორუფციაში გარეული და კორუმპირებული პიროვნება.

საქართველოს მთავრობის თავმჯდომარემ გამოამჟღავნა მოქმედი კანონმდებლობის ელემენტარული უცოდინარობა, პიროვნული უტაქტობა და კანონის უგულებელყოფა.

კონსტიტუციის თანახმად, მოპასუხე ჭითანავას მიერ გამოთქმული მოსაზრებანი აქციის შესახებ, მისი ბრალდებები ჩემს შესახებ და აქციის ორგანიზატორების მიმართ სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ წარმოადგენს ქართველი ხალხის კანონიერი უფლებების უხეშ დარღვევას, ჩემი, როგორც პიროვნების შეურაცხყოფას, ჩემი პატივისა და ღირსების შელახვას, რადგან მოპასუხე ჭითანავას კანონის თანახმად უფლება არ ჰქონდა ჩემთვის უსაფუძვლოდ დაებრალებინა, რომ მე ხელს ვუწყობ სისხლისღვრას და სხვ.

აღნიშნულიდან გამომდინარე გთხოვთ, საქართველოს სსრ სამოქალაქო კანონის თანახმად მიიღოთ წარმოებაში აღნიშნული სასარჩელო განცხადება, სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 149-ე მუხლის თანახმად საქმის განხილვის წინასწარ მოსამზადებელ პერიოდში გამოითხოვოთ საქართველოს სსრ ტელევიზიიდან აღნიშნული გადაცემის ვიდეოჩანაწერი, დაურთოთ საქმეს როგორც ძირითადი მამხილებელი მტკიცებულება და საქმე განიხილოთ საქ. სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის საფუძველზე. იმ შემთხვევაში, თუ საქ. სსრ ტელევიზიით გავრცელებული ჩემი პატივისა და ღირსების შემლახველ ცნობებს მოპასუხე ჭითანავა ვერ დაადასტურებს, თქვენი სასამართლოს გადაწყვეტილებით დაევალოს მოპასუხე ჭითანავას ტელევიზიით უარყოს მის მიერვე გავრცელებული ჩემი პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობები.

**განმცხ: ა. ადეიშვილი. 6 აგვისტო, 1990 წ.**

**უმაღლეს სასამართლოს იგივე სარჩელით მიმართა საქართველოს ჰელსინკის კავშირის წევრმა თემურ ქორიძემ. მოპასუხე ამ შემთხვევაშიც იყო ნოდარ ჭითანავა. სარჩელი ეხებოდა პიროვნების შეურაცხყოფას, პატივისა და ღირსების შელახვას. პასუხი დღემდე არ ჩანს.**

# საქართველოს სახალხო ფრონტის თავმჯდომარეს ბატონ ნ. ნათაძეს

## ქ. რუსთავის №29 შრომა-გასწორების კოლონიის მსჯავრდებულთა საპროტესტო მიმართვა

**უკანასკნელ** ხანებში გაძლიერდა და შეუქცევადი ხასიათი მიიღო, საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ. იმსხვრევა და სამუდამოდ კარგავს ძალას დრომოჭმული დოგმები და სტერეოტიპები, სოციალურ-პოლიტიკური ძვრები მეტად თუ ნაკლებად ცხოვრების ყველა სფეროს შეეხო, ყველა სახელმწიფო ინსტიტუტი შეაზანზარა თავისუფლების აზიზოქრებულმა ტალღამ. და მხოლოდ ე. წ. „სოციალისტური სამართალდაცვის" ინსტიტუტი ქაჯეთის ციხესავით არ ეპუება არც ერთ ქარიშხალს და მისი მექანიზმის დაჟანგული კბილები საზარელი ღრჭიალით ძველებურად ულმობელი სისასტიკით ამუშავებს ადამიანის ცხოვრების საკეპ მანქანას. როდემდე?!

დღეს გამუდმებით გვიჩიჩინებენ, რომ მხოლოდ იყრება იმპერიაში სამართლებრივი სახელმწიფოს საფუძვლები და მარტივი ლოგიკიდან გამომდინარე, ბუნებრივია ისიც, რომ ჩვენ არა მარტო გუშინ, არამედ დღესაც ვარსებობთ უსამართლო სახელმწიფოში. თუ ამას დავუმატებთ, რომ მართლმსაჯულების არსებული პირამიდა ძირიდან მწვერვალამდე კორუფციის მეტასტაზებით არის დაღარული (რაც არავისათვის, ვიყოთ გულმართალნი, არ წარმოადგენს საიდუმლოს, მეტადრე კი ჩვენთვის, ვისაც უშუალოდ შეგვეხო თემიდის „უანგარო" ხელი), მაშინ არავის უნდა გაუკვირდეს ეს ჩვენი სასოწარკვეთილებით ნაკარნახევი აქციაზ.

ადვილია გიყვარდეს საერთოდ კაცობრიობა და ძნელია შეიყვარო კონკრეტული ადამიანი, მათრობელია გრძნობდე თავს შენი ერის განთავისუფლებისათვის მებრძოლად, მაგრამ მძიმეა და დამქანცველია შენი ყველაზე დაჩაგრული უუფლებო თვისტომთა გათავისუფლებისათვის ბრძოლა, ვინაიდან დავითის ძალა და შეუპოვრობა უნდა შეგწევდეს, რომ შეებრძოლო უსამართლობის ძლევამოსილ გოლიათს.

განა შეიძლება, ერი თავისუფლებისათვის იბრძოდეს და პირველ რიგში არ მიხედოს იმ თავის შვილებს, ვისთვისაც მონობა და ადამიანური დამცირება ყოველდღიურ ყოფად არის ქცეული, თავისუფლება კი, რეალური და არა აბსტრაქტული, მისთვის მიუწვდომელ ოცნებად რჩება?

განა შეიძლება, ერი გამრავლებაზე ზრუნავდეს, ათასობით ჯან-ღონით სავსე ახალგაზრდა, შუახნის მამაკაცები კი შთამომავლობის გარეშე ჰყავდეს განწირული?

განა შეიძლება, ერი მომავალი თაობის პატიოსნად აღზრდაზე ფიქრობდეს, ათი ათასობით ბავშვი კი, მამის ზრუნვასა და ალერსს მოკლებული, ექვს თვეში ან წელიწადში ერთხელ ციხის კარს ატუზული ჰყავდეს?

დაუთვლია ვინმეს, რამდენი ქართული ოჯახი დანგრეულა ჩვენი მაქსიმალიზმის სენით შეპყრობილი „პატრიოტი და მოუსყიდავი" მოსამართლეების მოღვაწეობით, რომლებიც გულუხვად არიგებენ 12 და 15 წლით პატიმრობას მაშინაც კი, როდესაც მათ წინაშე პირველად გზასაცდენილი თანამემამულე ზის, კანონი კი დასჯის მინიმალურ ვადად 3 ან 5 წელიწადს გულისხმობს?

ცინიზმისა და თვალთმაქცობის აპოთეოზად იქცა საკავშირო პროკურატურის მიერ აღძრული საქმე გამომძიებლების გდლიანისა და ივანოვის მიმართ, რომლებიც თურმე აკრძალული მეთოდებით იძიებდნენ საქმეებს. მათ რისხვას ატეხს თავს თვით ობერ-პროკურორი სუხარევი, რომლის ქვეშევრდომნი მთელს უკიდეგანო იმპერიაში მხოლოდ და მარტო ამ მეთოდებით მოქმედებენ, ვინაიდან ეს მათი მუშაობის დაკანონებული სტილია, „რკინის ფელიქსის" დროიდან მოყოლებული.

და თუ ისევ ქართულ მაქსიმალიზმს გავიხსენებთ, ადვილი წარმოსადგენია, თუ რა მწვერვალებს მიაღწიეს ამ საგმირო საქმეებში ჩვენმა ვაიმამულიშვილებმა.

თქვენ გინახავთ სკამის ფეხით ნაბეგვი მუქი-ლურჯი ფერის ფეხის გულები? ჩამტვრეული ნეკნებით ფიცარნაგზე დაგდებული ურჩი ეჭვმიტანილი?

თქვენი გული გაუძლებდა თვრამეტი წლის თირკმელებჩალეწილი ჭაბუკის არაადამიანურ ღრიალს, როდესაც იგი თქვენს გვერდზე სისხლით გადის შარდზე?

თქვენ წარმოიდგინეთ თავმოყვარე ქართველი ვაჟკაცი, ხელს რომ არ მოაწერს ნებისმიერ ბრალდებას და ცინიკურად დაემუქრებიან, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში მას ჩასვამენ მამათმავალთა საკანში და ამ დროს მან კარგად იცის, რამდენად რეალურია ეს მუქარა?

ბევრი ჩვენთაგანი სწორედ ასე მოგვიტანეს სრულიად უდანაშაულონი მართლმსაჯულების სამსხვერპლოზე, ჩვენი ჩივილები, ხვეწნა და მუდარა კი მიმართული საზედამხედველო ორგანოებისაკენ, წლების მანძილზე რჩება „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა".

ღმერთმა დაგვიფაროს მათ დაუმსახურებლად ბრალი დავდოთ იმაში, რომ უპასუხოდ გვტოვებენ. რა თქმა უნდა, არა, მათ ჩინებულად აქვთ გამართული პასუხის გამცემი კონვეიერი, ესაა მხოლოდ, ყველა პასუხი ტყუპისცალივით ჰგავს ერთმანეთს: „გასამართლებული ხართ სწორად, თქვენი საქმის გადასინჯვის არავითარი საფუძველი არ არსებობს". როდემდე?

ბევრი ჩვენგანი ჯერ კიდევ ე. წ. „უძრაობის ხანაში" ვართ დაპატიმრებული და გასამართლებული; მაშინ, როდესაც ჩვენს სამართალდაცვით ორგანოებში განუყოფლად ბატონობდა დღეს უკვე საქვეყნოდ აღიარებული და ყბადაღებული დამამძიმებელი გადახრის ანუ „ობვინიტელნი უკლონის" პრინციპი. ეს მათრახი, რა თქმა უნდა, გადმოგვწვდა იმათაც, ვინც „გარდაქმნის ეპოქის" ნადავლს წარმოვადგენთ, ვინაიდან ჩვენი მართლმსაჯულება დღესაც „უძრაობის ხანაში" განისვენებს.

ქალაქ რუსთავის შრომა-გასწორების კოლონია უი 123/29-ში, სადაც ჩვენ უსამართლოდ ვიხდით სასჯელს, იმყოფება ათასამდე მსჯავრდებული, ამ მიმართვას კი ხელს ვაწერთ 140-მდე ადამიანი, ისინი, ვინც ბოლომდე ამოვიწურეთ სიმართლის პოვნის იმედი, ვინც მისულები ვართ სულიერი და ფიზიკური ტანჯვის იმ ზღვართან, რომლის იქითაც ყველაფერი, თვით ჩვენი სიცოცხლეც კი აზრს კარგავს. ამიტომ, ზემოთქმულიდან გამომდინარე:

ვინაიდან ზოგიერთმა ჩვენგანმა, სრულიად უდანაშაულომ, გასამართლებულმა და უკანონოდ დასჯილმა, ვერავითარი კანონიერი გზით ვერ მიაღწია სიმართლის დამტკიცებას;

ვინაიდან ბევრ ჩვენგანს, ვისაც სიყალბისა და ფალსიფიკაციის გამოყენებით გამოძიებამ დაუმძიმა დანაშაული, სასამართლომ კი საბრალდებო დასკვნაზე ბრმა დაყრდნობით გამოიტანა ჩადენილ დანაშაულთან შეუფარდებელი მკაცრი სასჯელი, ამოეწურა ყოველგვარი იმედი დანაშაულის კვალიფიკაციის შეცვლისა;

ვინაიდან საზედამხედველო ორგანოები ემსახურებიან არა კანონს, არამედ საკუთარი უწყების ინტერესებს, ვამყარებთ რა უკანასკნელ იმედს რესპუბლიკის ფართო საზოგადოების ინფორმირებაზე და მის თანადგომაზე, ვაცხადებთ მტკიცე პროტესტს და კატეგორიულად მოვითხოვთ:

1. შეიქმნას სპეციალური სამთავრობო კომისია კვალიფიციური ადმინისტრაციული ორგანოებისაგან დამოუკიდებელი იურისტებისა და საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა მონაწილეობით, რომელიც შეისწავლის ჩვენს, უდანაშაულო დამნაშავეთა, საქმეებს და აღადგენს სამართლიანობას, რომლისთვისაც მრავალი წელია უშედეგოდ ვიბრძვით.

2. მოვითხოვთ შეხვედრას ამ სამთავრობო კომისიის წევრებთან, რათა დავრწმუნდეთ, რომ ეს არის ჭეშმარიტად უფლებამოსილი ობიექტური სამსჯავრო და რათა პირადად მოვახსენოთ მათ ჩვენი გულისტკივილი პირდაპირ და პირუთვნელ დიალოგში.

# რა მოხდა ზუგდიდში?

## ანუ

## სად არის ძაღლის თავი ჩამარხული

**ამას** წინათ მღელვარების ახალმა ტალღამ გადაუარა საქართველოს. ახალი ამბავი ამჯერად უჩვეულო იყო — ზუგდიდში გაიფიცა მილიცია. მალე გაფიცულებს სხვა რაიონების მილიციის წარმომადგენლებიც შეუერთდნენ.

როგორც იტყვიან, აირია მონასტერი ზუგდიდში. იქ ჩასულს უმალ გეცემოდათ თვალში, რომ რაღაც უჩვეულო ხდებოდა. საბჭოთა მილიციის იმედით შორს რომ ვერ წახვალ, ეს კარგა ხანია შეიგნო ხალხმა, მაგრამ თუნდაც ასეთი წესრიგის დამცველების გარეშე დარჩენილი ქალაქი, მაინც შეშფოთებას მოეცვა. მით უმეტეს, ამას ხელს უწყობდა თითქმის ყოველდღიური არასასიამოვნო ექსცესები.

ზუგდიდის რეგიონულმა სახალხო ფრონტმა განცხადებით მიმართა მოსახლეობას. გთავაზობთ ამ განცხადებას:

„ამ ბოლო დროს (განსაკუთრებით უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში) ქ. ზუგდიდი დამნაშავეთა სამყაროს საპარპაშო ასპარეზად იქცა. დღისით, მზისით ქალაქში ძარცვავენ, ცემენ, იარაღს უღერებენ, ისვრიან, ნარკოტიკებით ვაჭრობენ...

განსაკუთრებით ამაზრზენი და აღმაშფოთებელი ისაა, რომ ამ ნაძირალათაგან ზოგიერთი თავისი ბინძური საქმეების საკეთებლად ეროვნულ დროშას ამოეფარა და სახელს უტეხს ეროვნულ მოძრაობას, რომელსაც ზოგი გამორჩენის მიზნით მიეტმასნა, ზოგიც არსებული ხელისუფლების შენარჩუნების მოსურნეთა საგანგებო დავალებით.

სწორედ ამის გამო მოსახლეობის საქმეში ჩაუხედავი ნაწილი ეროვნული მოძრაობის მიმართ უარყოფითად განეწყო. „ყველაფერი მათი ბრალია, ეს მათ არიეს ქვეყანა" — ხშირად გაიგონებთ მათგან.

არადა შექმნილი მძიმე ვითარების მიზეზი სრულიად სხვა რამაა.

იმ ვაჟბატონების უზრუნველ ცხოვრებას, რომელნიც მუშაკაცის ნაოფლარით ჯიბეებს ისქელებდნენ და გლეხკაცის ნაჭირნახულევს თავის ბელელშიღა ეზიდებოდნენ, აზიზოქრებულმა ეროვნულმა მოძრაობამ საფრთხე შეუქმნა. ახალი, მრავალპარტიული არჩევნების ისეთი კანონის მიღებამ კი, რომელიც ძირითადად ეროვნული პოლიტიკური ორგანიზაციების მიერ შემუშავებულ კანონპროექტს ეფუძნება და რომელიც მომავალ არჩევნებს ჭეშმარიტად დემოკრატიულ (და ამდენად არასაბჭოურს) ხდის, მაფიასთან წილნაყარი მმართველი ზედაფენა დაარწმუნა იმაში, რომ არჩევნებში დამარცხება და ხელისუფლების დაკარგვა რეალურად ემუქრება და ამიტომ დაადგა თვალთმაქცური უმოქმედობის გზას, რითაც ხელი შეუწყო დამნაშავეობის არნახულ ზრდას. და ეს გააკეთა ერთადერთი მიზნით: არჩევნებში კომპარტიის გამარჯვების უზრუნველსაყოფად, ოპოზიციისათვის სახელის გატეხვის მიზნით. სავარაუდო სცენარი ამ პოლიტიკური სვლისა ასეთია: შეიქმნას მოსახლეობისათვის აუტანელი ვითარება. მოსახლეობა ამაში დაადანაშაულებს ეროვნულ მოძრაობას, რადგან დამნაშავეებს შორის თითო-ოროლა, მაგრამ მაინც არის ეროვნულ დროშას ამოფარებული „მაუზერისტი". არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე მთავრობა, რომელიც იქამდე თავისი უმოქმედობით ხელს უწყობდა დამნაშავეთა ლაგამაწყვეტას, დაერევა მათ და გაავსებს ციხეებსა და ბანაკებს. ამით მოსახლეობას მოიმადლიერებს. არჩევნების დღეს კი კომუნისტების ამ მორიგ ანკესზე წამოგებული ამომრჩეველიც ისევ შეჩვეული ჰირის — კომპარტიის ბატონობას ამჯობინებს ხელისუფლების სათავეში ეროვნული ძალების მოსვლას.

დამნაშავეობისადმი წაყრუების პოლიტიკა, რომელსაც გეგმაზომიერად ახორციელებს ხელისუფლების სათავეში მყოფი კომუნისტური პარტია, იქამდე მივიდა, რომ თვით ზუგდიდის მილიციაც-კი, იძულებული გახდა გაფიცულიყო, რადგან ზემოდან მითითებით მას აჰყარეს არა მარტო საბრძოლო იარაღი, არამედ დამნაშავეთა დაკავების უფლებაც.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ზუგდიდის რეგიონული სახალხო ფრონტის გამგეობა გმობს ხელისუფალთა მზაკვრულ პოლიტიკას, ქალაქში დამნაშავეობის გაძლიერების გამო მთელ პასუხისმგებლობას აკისრებს საქართველოს მთავრობას, შინაგან საქმეთა სამინისტროს და ქალაქ ზუგდიდის ხელმძღვანელობას.

ამასთან ზუგდიდის რეგიონული ფრონტის გამგეობა მხარს უჭერს ზუგდიდის გაფიცული მილიციის მოთხოვნებს.

ზუგდიდის რეგიონული ფრონტის გამგეობას იმედი რჩება, რომ ჩვენი ქალაქისა და რაიონის მოსახლეობას ეყოფა სიბრძნე იმისათვის, რომ ერთმანეთისაგან გაარჩიოს ჭეშმარიტი ეროვნული პოლიტიკური ძალები და ეროვნულ დროშას ამოფარებული მედროვენი".

ასეთ რთულ სიტუაციაში, როგორც თვით გაფიცულმა მილიციის თანამშრომლებმა აღნიშნეს და რაც ფაქტებით დადასტურდა, მილიციას მუშაობის საშუალება არ ეძლეოდა. საზოგადოება ხშირად ნამდვილ დამნაშავეებს ქომაგობდა და პროტესტის სხვადასხვა ფორმით აღწევდა კიდეც მიზანს. იმდენად დიდია ნდობის დეფიციტი ხალხსა და სამართალდამცავ ორგანოებს შორის, მათი სიმართლეც აღარავის სჯერა. მოკლედ, შეიქმნა კომიკური მდგომარეობა — მილიციას აღარ აქვს მთავრობისაგან დაცვის იმედი, სხვადასხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაერთიანებები და საერთოდ საზოგადოებრიობაც მას აუჯანყდა.

ჩვენც ქართველები ვართ, არავისზე ნაკლებად არ გვიყვარს სამშობლო. იქ დავდგებით, სადაც საქმე მოითხოვს, იმას გავაკეთებთ, რასაც ხალხი დაგვავალებს. ძველებურად გაგრძელება კი აღარ შეგვიძლიაო, — აღნიშნავდნენ მილიციის მუშაკები მათთან მისულ ეროვნული მოძრაობის ლიდერებთან. გაფიცულთა მოთხოვნებიდან ძირითადი იყო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გარდაქმნა ეროვნულ მილიციად და ფორმის გამოცვლა, დებულების შემუშავება მილიციის უფლებების, მოვალეობისა და სოციალური დაცვის შესახებ; შინაგან საქმეთა ორგანოების ორმაგი დაქვემდებარებიდან გამოყვანა; რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ორგანოთა დეპოლიტიზაცია; შინაგან საქმეთა ორგანოებისთვის ცენტრის დიქტატით და უნდობლობის მოტივით ამოღებული ტაბელური იარაღების, ტყვიამფრქვევების და ავტომატების დაბრუნება; სისხლის სამართლის კოდექსის იმ მუხლების გაუქმება, რომელიც ითვალისწინებს სისხლის სამართლის ბასუხისმგებლობას შემდეგი ქმედებისათვის: სოფლის მეურნეობის პროდუქტების რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გატანა, თვითნებური მშენებლობა, საშენი მასალების უკანონო შეძენა, შინ გამოხდილი მაგარი სპირტიანი სასმელების დამზადება, აკრძალული რეწვა, რომელთა პრაქტიკულმა რეალიზაციამ მშრომელი ხალხი დაუპირისპირა მილიციას და სხვ.

ამჟამად გაფიცვა შეწყვეტილია. ზოგიერთი მოთხოვნა — დაკმაყოფილებული, ზოგის დაკმაყოფილებასაც დაჰპირდნენ...

მაღალი რანგის მილიციის მუშაკთან საუბრის დროს ერთმა ფრაზამ მიიქცია განსაკუთრებული ყურადღება: აუცილებლად უნდა დაგვიბრუნონ ჩამორთმეული იარაღი, წინააღმდეგ შემთხვევაში ვერაფერს შევძლებთ, არჩევნები ახლოვდება, ვინ იცის, რომელი შეიარაღებული პიროვნება ან დაჯგუფება ატეხავს სროლას, ყველაფერს უნდა მოველოდეთ.

ხედავთ, სად არის ძაღლის თავი ჩამარხული? ყველაფერს უნდა მოველოდეთო, ყველაფერსო, ემანდ სამოქალაქო ომი არ ატყდესო, როცა ამას მილიციის პასუხისმგებელი პირი ამბობს, გაგონილი უკვე ჭორს აღარ ჰგავს. მერედა, ვინ უწყობს ხელს ამ „შეიარაღებულ პირებს" თუ „დაჯგუფებებს" და საერთოდ, ვინ არიან ეს ადამიანები? კომენტარი თქვენთვის მოგვინდია. მით უმეტეს, რომ ამ საქმეში ყველაზე გაუთვითცნობიერებელი მკითხველიც ჩახედულია უკვე.

# გაზეთ „საქართველოს" რედაქტორს მ. ფაჩუაშვილს

## მოქ. მერი ივანეს ასული ტუხაშვილის განცხადება-პროტესტი

**გაზეთ** „საქართველოს" 1990 წლის 15 ივლისის მე-13 ნომერში გამოქვეყნებული იქნა სტატია „არიადნას ძაფის ძიებაში", რომელიც ეხება დარეჯან გრძელიშვილის გაუპატიურებასა და მკვლელობას.

აღნიშნულ სტატიაში გადმოტანილია სისხლის სამართლის საქმეში არსებული ვილაც ავტორის მიერ ჩემი ხელით ჩემივე შვილების მისამართით დაწერილი წერილი, რომელშიც გამოყენებულია ძალიან ბინძური სიტყვები.

გარდა ამისა, სტატიაში აღნიშნულია, რომ საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში ჩადენილი იყო უამრავი მძიმე დანაშაული (მკვლელობები, გაქურდვა), მათ შორის გრძელიშვილის ჯგუფური გაუპატიურება და მკვლელობა. როგორც ჩანს, აღნიშნული წერილის ნამდვილმა ავტორმა, პროვოკატორმა, შეადგინა ასეთი წერილი ოფიციალური თანამდებობის პირის დახმარებით, რომელსაც გააჩნდა მონაცემები საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მომხდარი დანაშაულის შესახებ. რაც არ შეიძლებოდა სცოდნოდა წერილის შემდგენელ პირს, თუ მას მონაცემები არ მოაწვდიდნენ ორგანოდან. მაგრამ, როგორც ჩანს, სტატიის ავტორს არ აინტერესებდა ასეთი დეტალები და რომ ეს ვერსია იყო მიმართული დამნაშავეების დასაფარავად. მისი განზრახვა მიმართული იყო მხოლოდ ჩემი პიროვნების პატივისა და ღირსების დასამცირებლად და შესალახად. ეს რომ ასეა, დასტურდება შემდეგი მონაცემებით:

აღნიშნული წერილი მე არ დამიწერია და ეს კარგად იცოდა სტატიის ავტორმა გ. თასოევმა, რადგან ის გაეცნო დარეჯან გრძელიშვილის გაუპატიურებისა და განზრახ მკვლ... ბის საქმეს. ავტორიტეტული ... რტიზის მიერ ჩატარებული იქნა ... ფიკული ექსპერტიზა და უდაოდ ... გინდა, რომ აღნიშნული ბინძური ... ვოკაციული წერილი დაწერილი ... არის ჩემი. მაგრამ გ. თასოევმა ... ზრახ გვერდი აუარა გრაფიკ... ექსპერტიზის დასკვნას და მხო... აღნიშნა ის ფაქტი, რომ მე უარ... ვი წერილის დაწერის ფაქტი და ... ამის გამო საქმეზე თითქოს დ... ნულია და ტარდება გრაფიკული ... სპერტიზა. ამდენად, სტატიის მ... ვით გამოდის, რომ მისი დაწ... დროისათვის გრაფიკული ექსპერ...

# სრული დამოუკიდებლობა-სოფელს

**დედამიწის** ნებისმიერ კუთხეში ხალხთა ცხოვრება წარმოუდგენელია სახელმწიფოებრივ ორგანიზაციად არსებობის გარეშე. მაგრამ თითოეული სახელმწიფოს შიგნით მოქმედი სტრუქტურები ერთნაირი ეფექტიანობით როდი საჭიროებენ სახელმწიფოს არსებობას. ამ სტრუქტურათა ერთი ნაწილისათვის იგი უკიდურესად აუცილებელია, მეორე ნაწილისათვის კი ნაკლებ საჭირო. ამა თუ იმ ქვეყნის შეიარაღებული ძალები, შინაგან საქმეთა, პროკურატურისა თუ იუსტიციის ორგანოები, აგრეთვე კომუნიკაციის საშუალებები მოითხოვენ სახელმწიფოს ცენტრალური ორგანოების ადმინისტრაციულ-განმკარგულებელ როლს; განათლება, კულტურა, შემოქმედებითი სფერო, ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების დარგები კი ნაკლებად საჭიროებენ სახელმწიფო ორგანოების ხელმძღვანელ-მაკონტროლებელ ფუნქციას. ეს ის სფეროებია, რომლებსაც ზემოდან კარნახის გარეშე ერთი ქალაქის, ერთი რაიონისა თუ დაბის მოსახლეობა საკუთარი ძალებითა და რესურსებით დამოუკიდებლად გაართმევს თავს. მაგრამ წინა შემთხვევაში აღნიშნულ დარგებს იგივე დასახელებული პუნქტების მოსახლეობა მთელი თავისი პოტენციალით ვერ გასწვდება. აქ უკვე აუცილებელი ხდება სახელმწიფოს, კერძოდ მისი ხელმძღვანელი და მაკონტროლებელი მექანიზმების მოშველიება.

შესაძლოა თუ არა იარსებოს ისეთმა სტრუქტურულმა დანაყოფმა სახელმწიფოში, რომ იგი უშუალოდ და პირდაპირ დამოკიდებული არ იყოს თვით ამ სახელმწიფოს არსებობაზე? თავიდანვე ვიტყვით, რომ ასეთი სტრუქტურული დანაყოფი ყოველთვის იყო და დღესაც არის სოფელი.

ნებისმიერი სახელმწიფო, თუ ის მართლა დემოკრატიული და სამართლებრივია, ვალდებულია ანგარიში გაუწიოს სოციალურ-პოლიტიკურად ინდიფერენტული მოსახლეობის სურვილებს, მისწრაფებებს, თუკი ისინი არ სცნობენ საჭიროდ სახელმწიფოს ჩარევის აუცილებლობას მათ ყოფა-ცხოვრებაში. ჭეშმარიტად ჰუმანურმა სახელმწიფომ უფრო მაღლა უნდა დააყენოს მოსახლეობის ამ ნაწილის ინტერესები, ვიდრე საკუთარი, ზოგადსახელმწიფოებრივი. სწორედ ეს მომენტი იქნება ქვეყნისა და მისი საზოგადოების შინაგანი მაქსიმალური თავისუფლების მაჩვენებელი. დასავლეთ ევროპისა და ამერიკის ქვეყნები ამ საკითხს კარგად ართმევენ თავს. აქ სახელმწიფო, მისი ინსტანციები თითქმის არასდროს ერევიან ადგილებზე, განსაკუთრებით კი სასოფლო რეგიონებში მოსახლეობის ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებაში. ეს არც სოფლის მოსახლეობას სურს და არც სახელმწიფო ესწრაფვის ამას.

ცალკეული ერებისა და სახელმწიფოების განსხვავებულობის მიუხედავად ზოგადად სოფლის შექმნა-ჩამოყალიბებას თავისი ისტორიული ლოგიკა, გარკვეული კანონზომიერება აქვს. მასში იგულისხმება აღნიშნულ რეგიონში მოსახლეობის სიჭარბე, მუშახელის შრომითი დასაქმების შეზღუდული შესაძლებლობანი, სოფელ ადგილის მოხერხებული გეოგრაფიული მდებარეობა, თვითონ მოსახლეობის კომერციული ნიჭი და უნარი, ნოყიერი, ადვილად დასამუშავებელი ნიადაგი, ბუნებრივი რესურსები, მეფისა თუ მებატონის შორსგამიზნული სტრატეგიული ჩანაფიქრი, ქვეყნის ისტორიაში ან მხარის ცხოვრებაში რაიმე ნიშანდობლივი ფაქტის ან მოვლენის თარიღის დადება, ამა თუ იმ ერის დიდსულოვანი დამოკიდებულება რომელიმე დევნილი ან სხვა მიზეზებით აყრილი ხალხის მიმართ და ამის საფუძველზე გარკვეული საცხოვრისის მიცემა და სხვ. ამ გარემოებათაგან დამოუკიდებლად ან გაუთვალისწინებლად ყველა დროში და ნებისმიერ ქვეყანაში შეუძლებელი იყო, სოფელი დაარსებულიყო. ამ კანონზომიერებათა გაუთვალისწინებლად მხოლოდ რაიმე გარეშე ძალის უხეში ჩარევით, იძულებით ან კარნახით შეიძლებოდა შექმნილიყო სოფელი. მაგრამ მათი არსებობა სამომავლოდ თავისთავში უკვე შეიცავდა მრავალ თავსატეხს. მიზეზი ისაა, რომ მკაცრი დაწოლისა თუ კარნახის პირობებში იგნორირებული იყო ზევით ნახსენები ასპექტები ან მათი უმეტესობა მაინც. ისტორიიდან და სულ ახლო წარსულიდანაც ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირში ასეთი დირექტივებით შექმნილმა ათასობით სოფელმა, მათ შორის ქართულმაც, ორჯერ და სამჯერ შეიცვალა საცხოვრებელი ადგილი. არადა, თავისი შინაგანი დინამიზმით შეუძლებელია, რომ სოფელი გადაშენდეს ან მოისპოს, თუ, რა თქმა უნდა, მომხდურმა, გარეშე ძალამ არ გააკეთა ეს.

სახელმწიფოს არსებობის აუცილებლობა პიროვნებისათვის, მოქალაქისათვის გამოიხატება იმ ასპექტში, თუ რამდენად, რა ინტენსივობით ესაჭიროება ადამიანს მასთან კავშირ-ურთიერთობა. შეიძლება კაცი ქალაქში ცხოვრობდეს, მუშაობდეს, მაგრამ სახელმწიფო დაწესებულებებთან არასდროს მოუწიოს კონტაქტი და არც თვალად ისურვოს იგი. მაგრამ აქვე დავძენთ, რომ სახელმწიფო უფრო მეტად ქალაქის მკვიდრთ ესაჭიროებათ, ვიდრე სოფლისას. ამის გამოა, რომ ქალაქად ბევრად ფართო და ინტენსიურია კონტაქტები სახელმწიფოსთან, ვიდრე სოფლად. საფიქრებელია, რომ ტერმინიც „ქალაქი-სახელმწიფო" ამ გარემოებიდან იღებს სათავეს, თორემ ალბათ იარსებებდა ცნება „სოფელი-სახელმწიფოც". სოფლელი კაცი ნაკლებადაა ჩაბმული სახელმწიფო სტრუქტურათა ქსელში. თუ გლეხკაცს ყველაფერი ისე ექნება, რაც მის სამეურნეო ინტერესებს შეესატყვისება, მაშინ იგი იქცევა მიწის ერთგულ მეურნედ და თავს აღარ დაიკაბალებს სახელმწიფო სტრუქტურებთან კავშირით. ქალაქელი კაცი კი ასეთ ურთიერთობებს ძნელად თუ აუვლის გვერდს.

ჩვენთან სახელმწიფო სულ უფრო და უფრო უნდა კვეცდეს თავის ფუნქციებს თვით მის შიგნით არსებულ ისეთ დარგებში, როგორებიცაა გლეხური მეურნეობანი, კოოპერაცია, ადგილობრივი თვითმმართველობა, კომუნალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურება, გართობა-სანახაობითი სფერო და ა. შ. ჩვენ ამით იმის თქმა კი არ გვინდა, რომ საერთოდ სახელმწიფო გაქრეს ან გაუქმდეს. არა, სულაც არა. გვწადია, რომ შესუსტდეს ცენტრიდანული დიქტატი და ზღვარდაუდებელი კონტროლი, რომლებსაც ჩვენს დღევანდელ სინამდვილეში ყველა საფუძველი გამოეცალა. გვინდა, რომ თავისუფლად ამოისუნთქონ სახელმწიფომაც და მოსმა მოქალაქეებმაც. არ უნდა შეიქმნას, ანდა არ უნდა განაგრძობდნენ არსებობას მართვა-გამგეობის ის რგოლები, რომლებიც ასუსტებენ ქვეყნის ინტელექტუალურ ძალებს, ქსავენ მის შრომით რესურსებს. ეს განსაკუთრებით ეხება სახელმწიფოს სასოფლო პოლიტიკას.

ჩვენთან სოფლის გასახელმწიფოებრიობის ერთ-ერთი ნიშანი კონკრეტულად გამოიხატა მის იდეოლოგიზირებაში, თანაც მონოიდეოლოგიურში. განვლილმა ათწლეულებმა ცხადჰყო, რომ გლეხკაცს არასდიდებით არ ესაჭიროებოდა არა მარტო მონოიდეოლოგია, არამედ ისეთი იდეოლოგია საერთოდ, რომელიც გარკვეული თუ ჯერაც გაურკვეველი პრინციპების დაცვაზე გაცილებით მეტ დროსა და ენერგიას ახარჯვინებდა, ვიდრე უშუალოდ სამეურნეო საქმიანობაზე. განა რომელიმე იდეოლოგიის გარეშე გლეხკაცი ვერ დაამუშავებს მიწას, ვერ მოიწევს მოსავალს? განა რომელიმე იდეოლოგიამ უნდა უკარნახოს, ამა და ამ დროს ეს სამუშაოები შეასრულეო. წინათ, ფეოდალურ თუ მომდევნო ეპოქებში შინ თუ გარეთ განა ქართველი თუ უცხოელი კაცი რომელიმე კომიტეტების გარეშე ვერ ხნავდა მიწას, ვერ მწყემსავდა ფარებს, ვერ ინახავდა ქვეყანას, ბატონსა თუ პატრონს? თუ ეს მართლა ასე არ იყო, მაშინ როგორ და საიდან დააგროვა სასოფლო-სამეურნეო მუშაობის ამხელა გამოცდილება შესაბამისი კულტურით დასავლეთ ევროპელმა თუ ამერიკელმა ფერმერობამ?

დღეს სულ უფრო აშკარა ხდება, რომ გონივრული არ ყოფილა „სოფლის მეურნეობის იდეოლოგიური უზრუნველყოფის" თეზისის შეთხზვა. გლეხს ჭირნახულის მოსაწევად, დოვლათის მისაღებად იდეოლოგიური უზრუნველყოფა კი არ ესაჭიროება, არამედ აგრო-ტექნიკა, მაღალი პროფესიული ჩვევები, შესაბამისი აგრარული ყაიდის აზროვნება და რაც მთავარია, მიწის საკუთრებაში ქონა. ყველაფერი ეს ერთად აღებული იდეოლოგია როდია, ეს კონკრეტული საქმის გაძღოლის უნარია. სწორედ ადამიანთა ასეთმა ცნობიერებამ და მონდომებამ უნდა შეცვალოს სოფლად იდეოლოგიური უზრუნველყოფის საქმე, დაიკავოს მისი ადგილი.

მიამიტობაა ვიფიქროთ, რომ დასავლეთსა თუ ჩრდილო ამერიკის ქვეყნებში ფერმერები იმიტომ იწევენ ჩვენთან შედარებით ხუთჯერ და ათჯერ მეტ მოსავალს, რომ სწორედ იდეოლოგიურად ხუთმაგად და ათმაგად არიან უზრუნველყოფილნი. ფერმერების იდეოლოგია მათი ოჯახების კეთილდღეობის უზრუნველყოფით განისაზღვრება. მართალია, იქაც სოფლის მშრომელები მონაწილეობენ სოციალური, ეკოლოგიური და სხვა საკითხების გადაწყვეტაში, მაგრამ არა იდეოლოგიურისა. ისინი ზოგჯერ ამა თუ იმ პარტიის წევრებიც არიან, მაგრამ არა ისეთი ფანატიკოსები, რომ პარტიულ იდეებსა თუ პრინციპებს ყოთით მხარეზე, რეალურ ცხოვრებაზე მაღლა აყენებდნენ და მათი მეშვეობით ცდილობდნენ ოჯახებისა და საკუთარი თავის რჩენას. გადამწყვეტია ფერმერის უნარი, შესაძლებლობები, რომ რაც შეიძლება უხვი და ხარისხიანი მოსავალი მოიწიოს და მას სულაც არ აინტერესებს მისი შრომის საბოლოო პროდუქტს შინ თუ გარეთ კომუნისტი იყიდის, სოციალისტი, ფედერალისტი თუ უტოპისტი.

ჩვენთან კი დღესაც ვერ შევლევიართ სოფლის იდეოლოგიზაციის თეზისს. სოფელი უნდა გათავისუფლდეს იდეოლოგიის ფენომენისაგან. სოფელს გააჩნია თავისი მიკროსამყარო, რომელიც მის სანახებს არ სცილდება. სოფელი თავისებური ოჯახია, იგი თვითმმართველი ორგანიზმია. სოფლის იდეოლოგიზირების თეზისი, გარედან შეტანილი, მისთვის ძალით თავსმოხვეული ფენომენია. სახელმწიფოს „ნამეტანი ზრუნვის" გარეშე სოფელს შეუძლია თავის გატანა. ცნობილი ფაქტია, რომ საბჭოთა პერიოდში სოფელი ქალაქს გაცილებით მეტს აძლევდა, ვიდრე პირიქით ხდებოდა. ფაქტობრივად მიმდინარეობდა ქალაქის მიერ სოფლის დაკანონებული და შეუხღუდავი ძარცვა. საქმე იმაშია, რომ ქვეყნის ორივე მხარე, როგორც ქალაქი, ისე სოფელი აბსოლუტურად გასახელმწიფოებრივებული იყო და ტოტალიტარული წყობისათვის მნიშვნელობა არ ჰქონდა, რომელი მხარე იზარალებდა, ანუ რომელი რომლის ექსპლუატაციის ხარჯზე იარსებებდა. ბიუროკრატიული სისტემის პირობებში ქალაქმა მოახერხა სოფლის ათასგვარი დაკაბალება, რისთვისაც ამ უკანასკნელს დღესაც ვერ დაუღწევია თავი. სოფლის ყოველი გაბრძოლება კაბალური ურთიერთობებისაგან გათავისუფლებისათვის აღიქმებოდა როგორც ანტისახელმწიფოებრივი, ანტიკომუნისტური აქცია.

გასულ საუკუნეებში სოფელს ბატონიც ჰყავდა და პატრონიც. დღეს ბატონი კვლავ შერჩა, მაგრამ აღარ ჰყავს პატრონი. თუმცა დღეს ბატონიც მის ძველ სამფლობელოში აღარ მკვიდრობს, იგი სადღაც შორს, ცენტრში გადასახლდა. ბატონი საბოლოოდ მოწყდა თავის საუფლოს. ცენტრში კი მას ათასნაირი „ნოვატორული" იდეა აწუხებს, ამასთან ერთი რომელიმე გადაწყვეტილებით ქმნის ათასობით დაბა-დასახლებებს, მაგრამ იმავე გზით ძალუძს ამავე რაოდენობის სოფლების გაუკაცრიელებაც. ასე ნაუცბათევად, ცენტრიდან მითითებით იქმნებოდა ათასობით სოფელი და დასახლებული პუნქტი აღმოსავლეთ და დასავლეთ ციმბირში, შორეულ აღმოსავლეთში, ყაზახეთში, შუააზიის რესპუბლიკებში. მათი შექმნა არავის არ სჭირდებოდა, არც მკვიდრ ხალხებს და არც ქვეყნის სხვადასხვა რეგიონიდან დედაწულიანად აყრილ გლეხკაცობას, ან სხვა მიზეზებით გაგზავნილ ხალხს. ასე გაგრძელდა ყამირი მიწების ათვისებისას და ბაიკალამურის მაგისტრალის მშენებლობისას. მათი შექმნა სჭირდებოდა პიროვნული რეჟიმის სახელმწიფოს, მისი საფუძვლების განმტკიცებას, ბიუროკრატიული სისტემის მოხელეებს. ამ უკანასკნელთ კარიერისტული მიზნებიც ამოძრავებდათ, სურდათ რა დაემკვიდრებინათ ქვეყნის დიადი აღმშენებლების სახელი. ყოფილი პოლიტიკური თუ სხვა პატიმრების, ძალათი გასახლებული ადამიანების, მათ შთამომავალთა ერთურთში აღრეული იაფი მუშახელის საფუძველზე 70-80-იან წლებში ახალი სოფლები და დაბები იქნებოდა გიგანტურ მშენებლობებთან და საწარმოებთან. ეს უკანასკნელნი თავისთავად შთანთქავდნენ მანამდე იქ არსებულ სოფლებს, სპობდნენ იქ მოსახლე ეროვნულ უმცირესობათა ტრადიციებს.

შეიძლება ითქვას, თავისებური კოსმოპოლიტიზაცია განიცადა ჩვენი დროის სოფელმა. ეს განსაკუთრებით ეხება საბჭოთა კავშირის აზიურ ნაწილს. აღირივნენ რა ერთმანეთში ახლად დასახლებულ დაბებში თუ სოფელ ადგილებში საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკებიდან და მხარეებიდან გასახლებული ხალხები, მათ შექმნეს რუსულ ენაზე მოლაპარაკე მოსახლეობის გაურკვეველი, უფერული კონგლომერატი. ისინი საბოლოოდ მოსწყდნენ თავიანთ ეროვნულ და ისტორიულ ძირებს. მათი შვილებისა და შვილიშვილების დღევანდელი თაობები მშობლიური წარსულის, ისტორიის, კულტურისა თუ ენის არმქონე პიროვნებებია. მოქალაქეობაც ხომ ყველას ერთნაირი აქვთ. განა მეტი სხვა რალა უნდა იყოს კოსმოპოლიტიზმი პრაქტიკაში? თანაც როგორ „დაინტერესდით" სხვათა სამეურნეო და სოციალურ-კულტურული წარმატებებით, როდესაც სოციალისტური შეჯიბრებები გავშალეთ ათასობით კილომეტრით დაშორებულ ერთ დროს ციმბირს გასამწესებელ ქალაქებთან და რაიონებთან.

მას შემდეგ, რაც ზოგან ძალდატანებით, ზოგან კი ნებით ჩამოყალიბდნენ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, საბჭოთა კავშირში მოხდა სოფლის საბოლოო გასახელმწიფოებრიობა. ამაზე შორს შეუძლებელი იყო სოფლის გასახელმწიფოებრიობის პროცესის წასვლა. არც ერთ დროში არც ერთ მეფეს, მბრძანებელსა თუ რომელიმე სახელმწიფოს ეს არ გაუკეთებია. მართალია ჩინეთში, კამპუჩიაში და კიდევ ორ-სამ ქვეყანაში ადგილი ჰქონდა მსგავს რეციდივებს, მაგრამ ... ინი საბჭოთა ქვეყნისადმი წამბ... რობით მოხდა. გზის გამკვალავ... საქმეში საბჭოთა კავშირი იყო. ... ლექტივიზაციით სოფლისა ... განსაზღვრული სახელმწიფო ფუნქციები, კერძოდ სავალდებულო შრომადღეების გამომუშავება კოლმეურნეობაში, მოსახლეობის თავისუფალი გადაადგილების შეზღუდვა და ერთ ადგილზე საბოლოოდ მიმაგრება, საკარმიდამოდან მოწეული დოვლათის პირველ რიგში სახელმწიფოსათვის ჩაბარება და შემდეგ ბაზარზე გატანა, ქვეყნის შეიარაღებული ძალების რეკრუტით სისტემატური მომარაგება, საჭიროების შემთხვევაში მშენებლობების იაფი მუშახელით უზრუნველყოფა, სახელმწიფოს მხრიდან სოფლის მოსახლეობისადმი მთელი რიგი სოციალური შინაარსის პასუხისმგებლობათა მოხსნა და სხვ. ყოველივე ამის შედეგად სოფელი თავის თავს კი აღარ ეკუთვნოდა, არამედ ცენტრს, სახელმწიფოს. ... სი ბედი, ყოფნა-არყოფნა ამიერიდან აქ წყდებოდა. ამის ნათელი დასტური ფაქტები — საბჭოთა პერიოდში ჩვენთან, საქართველოში, კავ... სიის რეგიონში თუ საერთოდ მთელ... ანად კავშირში ათი ათასობით სო... ფელი დაიცალა და გაუკაცრიელ... თუ არა სოფლის აბსოლუტური ... სახელმწიფოებრიობა, სხვანაირ... შეუძლებელი იქნებოდა ამ უგუნ... რი პროცესის განხორციელება.

საბჭოთა პერიოდში სახელმწიფო... ფუნქციებით სოფლების დაკაბალე... ბა რუსეთის ისტორიიდან ახალი ა... იყო. ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში რუსეთის სოფლებს თავდაცვითი ფუნქციები ჰქონდა. რაც უფრო ფართოვდებოდა რუსეთის სახელმწიფო სამხრეთით თუ აღმოსავლეთით, მით უფრო მრავლდებოდნენ სოფლის ტიპის სამხედრო დასახლებები. ეს პროცესი განსაკუთრებით გაძლიერდა იმპერატორ ალექსანდრე I დროს XIX საუკუნის 20-იან წლებში. წმინდა სამხედრო-თავდაცვითი ფუნქციებთან ერთად ეს დასახლებები სასოფლო-სამეურნეო ამოცანებსაც ასრულებდნენ. ასე, რომ საბჭოთა სასოფლო პოლიტიკას უკვე საკმაოდ სოლიდური წინამძღვრები გააჩნდა.

თუ წინათ შუა საუკუნეებში და მოგვიანებითაც სოფელს ორი-სამი პატრონი ჰყავდა მეფის, მებატონისა და ეკლესიის სახით, ახლა მას იმდენი გამგებელი ჰყავს, რამდენი საკავშირო და რესპუბლიკური სამინისტრო-უწყებაც არსებობს. გარდა ამათი ადგილებზე დღეს სოფელს ათობით გამგებელი მაინც ჰყავს რაიკომის, აღმასკომის, აგრომრეწვის, კოლმეურნეობის გამგეობის, საბჭოთა მეურნეობის დირექციის, კოოპერატორების, ცეკავშირისა და სხვათა სახით. ასეთი პოლიტიკის გამოა, რომ ფაქტობრივად მოხდა თანამედროვე სოფლის მკვეთრი დიფერენციაცია, მისი მოსახლეობის სამეურნეო ინტერესების უკიდურესი დანაწევრება, მრავალ შემთხვევაში კი დაპირისპირებაც. მთავარი მიზეზი ისაა, რომ ყველა ზევით აღნიშნული სახელმწიფო სტრუქტურა სოფლიდან „თავის წილს" ეწევა. სოფელს კი არავინ ეკითხება, რა პოტენციალი გააჩნია მას და შეუძლია თუ არა უზარმაზარი სახელმწიფოს ამდენი კაპრიზის დაკმაყოფილება.

როგორც ვხედავთ, სადღეისოდ სოფელს დაკარგული აქვს სრული სამეურნეო დამოუკიდებლობა და თუ ასე გაგრძელდა მომავალშიც, მაშინ სოფელი და მასთან ერთად მთელი სახელმწიფოც ვერ გამოვა შექმნილი აგრარული ჩიხიდან. რა თქმა უნდა, სახელმწიფო სოფელს გარკვეულად უნდა დაეხმაროს. მაგრამ დაეხმაროს და არა მბრძანებლის როლში გამოვიდეს. დღეს დადგა დრო, სოფელმა აღიდგინოს ერთ დროს მისთვის უსამართლოდ წართმეული დამოუკიდებლობა. ს...მის ამ გზით წარმართვა შექმნის სურსათ-სანოვაგისა და დოვლათის სიუხვეს სოფელში და მთლიანად სახელმწიფოში.

**გიორგი ბეჟუაშვილი**

---

... თითქოს ჯერ არ იყო ჩატარებული ... ტარდება წერილის ავტორის და... ...სათვის. თუ აქტი ამოღებულია ...დან, გ. თასოევს უნდა აღენიშ... ...

... თასოევი არ კმაყოფილდება ...პატივისა და ღირსების დამცირ... სტატიაში აღნიშნა თავისი მო... ...ბა და ასკვნის, რომ მე („მ-რი ...ლი") დღეს ერთ-ერთი ცრუ („ექსტრასენსი") ვარ ქ. თბილ... და რომ ჩემი „ჯადოსნური ხე...“ მადლის შესახებ საზოგადო...რესითაც იქნა ინფორმირებული. ... შესახებ, რომ მე ცრუ აქიმი ...არ. გიდგენთ მოსკოვის ჯანმრთ...ელობის მთავარი სამმართველოს № 17 ნარკოლოგიური საავადმყოფოს მთავარი ექიმის წერილს კოოპერატივ „ფანასკერტელის" თავმჯდომარისადმი, რომლიდანაც ნათლად ჩანს, თუ რა შედეგი ჰქონდა ჩემს მიერ ჩატარებულ მკურნალობას. ასევე შეგიძლიათ გაეცნოთ ასობით წერილებს გაზეთ „თბილისის" სახელზე შესულს, რომლებიც მადლობით იხსენიებენ მ. ტუხაშვილს.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე მოვითხოვ, რომ გ. თასოევმა და გაზეთმა „საქართველომ" გამოაქვეყნონ გაზეთის ფურცელზე გ. თასოევის სტატიის უარყოფა და თასოევმა გაზეთის მეშვეობით ბოდიში მოიხადოს ჩემს წინაშე. წინააღმდეგ შემთხვევაში მე იძულებული გავხდები ვუჩივლო თასოევს და გაზეთს სასამართლოში.

**მ. ტუხაშვილი**

**რედაქციისაგან:** სასამართლოში ჩივილი ყველას უფლებაა, ვისაც სად უნდა, იქ იჩივლოს! რაც შეეხება აღნიშნულ გამოგზავნილ წერილებს, კიდევ ერთხელ შეგახსენებთ ამ ადგილს სტატიიდან, გ. თასოევს მოჰყავს საქმიდან ორი მოწმის ჩვენება, რომლებიც ამტკიცებენ, რომ მერი ტუხაშვილის წერილები მათ.. გადაწერეს დედნებიდან. ასევე, როცა სტატიაში წერია, „საქმეზე დანიშნულია და ტარდება გრაფიკული ექსპერტიზა წერილების ავტორის დადგენის მიზნით", ეს სიტყვები თასოევს კი არ ეკუთვნის, რუსთავის პროკურატურის განმარტებაა. (ტ. 5. ს. ფ. 148). იქვე თასოევი აღნიშნავს: „ათასი ფიქრის აღმძვრელ წერილთან დაკავშირებით გამოძიებას ევალებოდა **არა მარტო გრაფიკული ექსპერტიზის ჩატარება,** არამედ წერილში მოყვანილი ფაქტების შემოწმებაც, რაც მან არ გააკეთა". ისე, რომ გრაფიკული ექსპერტიზის უარყოფა არსად გვხვდება. ამ მონაკვეთის სათაურსაც მიაქციეთ ყურადღება: „ვის ეკუთვნის საპატიმროდან გამოგზავნილი წერილები". გია თასოევს მხოლოდ საქმეში არსებული ფაქტები მოჰყავს! იგი არაფერს ამტკიცებს — არც აქვს ამის უფლება — არც გამომძიებელია და არც პროკურორი!

ამასვე აღვნიშნავდით ჩვენს სარედაქციო მინაწერში. დანარჩენი ხელახალი გამოძიებისა და სასამართლოს საქმეა.

რაც შეეხება ექსტრასენსობას, ეს მართლაც არავის ეხება და ჩვენც მზად ვართ დავიჯეროთ მერი ტუხაშვილის სიძლიერე ამ სფეროში. სიკეთეში მოიხმაროს თავისი ნიჭი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მწერლის არქივიდან

ნოდარ წულეისკირი

# სიტყვა, თქმული მწერალთა კავშირში 1977 წელს ზვიად გამსახურდიას დასაცავად

პატივცემულო მწერლებო!

უკვე შვიდი თვე გავიდა, რაც დაპატიმრებულია დიდი ქართველი მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას შვილი, მწერალი და მეცნიერი ზვიად გამსახურდია. ამბობენ, გამსახურდია ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ჰყავთ და საეჭვო ნემსებს უკეთებენო. ზოგი ამბობს, შიმშილობა გამოაცხადაო, ზოგი დაბეჯითებით ამტკიცებს, მოკვდაო.

ნუთუ ქართველი მწერლები ისე დაკნინდნენ და დაეცნენ, რომ ამბის გაგებაც კი არ სურთ, თუ რა სჭირს მათ კოლეგას.

ნუთუ ქართველ მწერლებს იმის ძალა და უნარი არ შესწევთ, გაიგონ მაინც, ცოცხალია თუ მკვდარი მწერალი.

მე, პირადად, ზ. გამსახურდიასა და მისი თანამებრძოლების ბედი ძალზე მაშფოთებს. ამის თაობაზე პროტესტის წერილები გავგზავნე მრავალ დაწესებულებაში, მაგრამ ამაოდ. პასუხი არსაიდან არ მიმილია. ერთ წერილს ახლა წაგიკითხავთ:

**საქართველოს სსრ პროკურორს ლერი თალაკვაძეს**

ქართველი ერი შეძრწუნებულია, თავზარდაცემული და გულმოკლული თავისი დიდი მწერლის შვილის ზვიად გამსახურდიას შეპყრობით. ტერორი და შიში სუფევს მწერლობასა და ინტელიგენციაში. სუკის აგენტებმა დააშინეს მწერლები, მეცნიერები, კულტურის მოღვაწენი, ამიტომ ხმას ვერავინ იღებს.

უკვე რამდენიმე თვეა, რაც „კაგებეს“ ჯურღმულებში იტანჯებიან ზ. გამსახურდია და მ. კოსტავა. არ ვიცით, რა მოელით, რას უმზადებენ მათ.

ოცდაჩვიდმეტი წლის შემდეგ მსგავსი უსამართლობა მწერლობას თავს არ დასტეხია, დააპატიმრეს მწერალი, თანამოკალმე, მეგობარი და ჩვენ, მწერლებს, ღონე არ შეგვწევს, ვიკითხოთ მაინც, რატომ მოხდა ეს საზარელი ფაქტი, გამოსწორდება თუ არა ოდესმე, რაც მოხდა?!

რამდენიმე ხნის წინათ ზ. გამსახურდიასა და მ. კოსტავას დასაცავად წერილი გავუგზავნე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცეკას გენერალურ მდივანს ლ. ბრეჟნევს, მაგრამ არავითარი პასუხი იქიდან არ მიმილია. ალბათ სუკის აგენტებმა ჩაიგდეს ხელში ჩემი წერილი და თბილისს ის არ გასცილებია. სწორედ სუკის მუშაკების არაადამიანური, მუხანათური საქციელის გამოც დავწერე არა ერთი პროტესტის წერილი, მაგრამ კვლავ ამაოდ. როგორც ცნობილია, თვითგამოცემის ჟურნალში „ოქროს საწმისში“ ჩემი ნებართვის გარეშე გამოქვეყნდა ჩემი სიტყვა თქმული მწერალთა კავშირში ე. შევარდნაძესთან შეხვედრის დროს.

ამის გამო მე დამიბარეს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტში და მრისხანედ დამიწყეს დაკითხვა. მე მათ მტკიცედ ვუთხარი: არავითარი დანაშაული არ მიმიძღვის ამ საქმეში, არავითარ ახსნა-განმარტებას არ დავწერ. თუ მაიძულებთ, გავიმეორებ იმას, რაც თავის დროზე გააკეთა პაოლო იაშვილმა, საჯაროდ, სახალხოდ მოვიკლავ თავს. მუქარისა და ტერორის ქვეშ მაინც დამაწერინეს ახსნა-განმარტება. ის არა, რასაკვირველია, რაც მათ უნდოდათ (ავაზაკობას ჩემი კალამი არ წერს.). მათი ბრალდებები: ვითომ შეთქმულების მონაწილე ვარ, ვითომ ამ სიტყვის თქმა ვილაცამ დამავალა, ვითომ ანტისაბჭოთა საქმიანობას ვეწევი, გავაქარწყლე, უარვყავი. თვით ის ფაქტი, რომ უდანაშაულო ადამიანს დაუნდობლად მომექცნენ უშიშროებაში, რაღაცა მაინც რომ დამაწერინეს, ჩემს აღშფოთებას და პროტესტს იწვევს. „კაგებეს“ მუშაკების ამ თავგასულობის შესახებ პროტესტის წერილი გავუგზავნე საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანს ე. შევარდნაძეს, მაგრამ პასუხი იქიდანაც არ მიმილია. პირიქით, დამიბარეს ხელმძღვანელმა ამხანაგებმა და დაჟინებით მოითხოვეს ჩემგან, გავმიჯნოდი ზ. გამსახურდიასა და მის თანამებრძოლებს. ასეთი საქციელი არ მივიჩნიე საკადრისად, არ გავაკეთე ეს. მართალია, ჩემი წერილი „ოქროს საწმისში“ შემთხვევით მოხვდა, მაგრამ რაკი გამოქვეყნდა, ეს იმას ნიშნავს, რომ მე და **ოქროს საწმისელები თანამოაზრენი ვართ.** ძირითად საკითხებში **ერთ აზრს ვადგევართ**, ერთი იდეა გვაერთიანებს.

რისთვის იბრძვიან ზ. გამსახურდია, მ. კოსტავა, ვ. რცხილაძე, ბ. ბეჟუაშვილი, ჯანელიძე და მათი თანამებრძოლნი?

1) ქართული ენისათვის! საქ. სს რესპუბლიკაში კონსტიტუციით ქართული ენა სახელმწიფო ენაა. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოში ყველა დაწესებულება ქართულ ენაზე უნდა მუშაობდეს. ყველა დოკუმენტი ქართულ ენაზე უნდა იწერებოდეს. ამ ენაზე უნდა მეტყველებდეს და წერდეს ყველა პარტიული თუ საბჭოთა მუშაკი, მათ შორის საქ. კპ. ცკ. **პირველი მდივანიც ე. შევარდნაძეც და თქვენც, საქ. სსრ პროკურორიც.**

ეს უფლება მოგვანიჭა ჩვენ რევოლუციებმა, მამა-პაპათა დაღვრილმა სისხლმა და ბოლოს ორმა კონსტიტუციამ.

ამ იდეისთვის ზ. გამსახურდიასთან ერთად ვიბრძოდი და მომავალშიც ვიბრძოლებ, მაშინაც კი, როცა ციხეში ჩამაგდებთ და სულის ამოხდას დამიპირებთ.

2) კულტურის ძეგლთა დაცვა ყოველი ქართველის წმინდათაწმინდა მოვალეობაა. ეს კანონებში გვეწერა და დღესაც გვიწერია, კონსტიტუციაშიც ჩაგვიწერეს, მაგრამ საშველი მაინც არ ჩანს.

ზ. გამსახურდია და მისი მეგობრები თავგამეტებით იბრძოდნენ ძეგლების დასაცავად. ამ საქმეში მეც მათთანა ვარ.

3) ადამიანის უფლებების დაცვა ადამიანის მოვალეობაა. პირუტყვი ან მცენარე, ან სხვა რამ ბუნებაში ვერ დაიცავს ადამიანს. ადამიანი ისევ ადამიანმა უნდა დაიცვას, თუ ის უსამართლოდ დაჩაგრეს. ნუთუ შეიძლება ამ დიად იდეაში კრიმინალი იპოვოს პროკურორმა და დააპატიმროს ადამიანის უფლების დამცველი?

ყველა ამ საკითხში მე მათ ვეთანხმები, მხარს ვუჭერ და მომავალშიც მათთან ვიქნები.

არის კიდევ ერთი საკითხი, მთავარი საკითხი, ეს გახლავთ ქართველი ხალხის გაქრობის, გადაშენების პრობლემა, რაც საბედისწეროდ გვაწუხებს გაჩენის დღიდან ყველა ქართველს. ესეც ჩვენი საერთო სატკივარია. შეუძლებელია ამ საკითხებს მწერალი გაემიჯნოს. პირიქით, ჩემს მოვალეობად მიმაჩნია ზ. გამსახურდიასა და მის მეგობრებს მხარში ამოვუდგე და მათთან ერთად ვიბრძოლო ამ პრობლემათა გადასაჭრელად.

ადამიანის გადარწმუნებისათვის ათასი ხერხი და მეთოდი არსებობს. რატომღაც მოხდა ის, რასაც არავინ მოელოდა. ზ. გამსახურდია ერთხელაც კი არ გაუფრთხილებიათ, ერთხელაც არავის უსაუბრია მასთან მშვიდობიანად. მოულოდნელად შეიპყრეს და ციხეში გააქანეს. მას შემდეგ სამარისებური სიჩუმეა. სანამდე უნდა გაგრძელდეს ასე, ცოცხალია თუ მკვდარი, არ უნდა გავიგოთ?

პირდაპირ დაუჯერებელია, წარმოუდგენელია, როგორ, რანაირად, რა სინდისითა და რა შუბლით შეუძლია საქართველოს დღევანდელ მთავრობას ციხეში ქურდებთან, ბანდიტებთან, მექრთამეებთან, ნაძირალებთან და ავაზაკებთან შეაგდოს კონსტანტინე გამსახურდიას ბრწყინვალე ძე ზვიად გამსახურდია.

როგორც მწერალს, მოქალაქეს, მტკიცედ მწამს, რომ ზვიად გამსახურდიას დაპატიმრებით დაშვებულია მძიმე შეცდომა, რომლის გამოსწორება ალბათ ძალზე გაუჭირდება საქართველოს დღევანდელ მთავრობას.

პატივცემულო პროკურორო! თუ ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას სასამართლო შედგება, გთხოვთ ეს წერილი წაკითხულ იქნეს ამ სასამართლოზე, ან გამოყენებული სამართალდაცვის წესითა და რიგით.

ოდნავ დამახინჯებასაც კი მოჰყვება ჩემი სასტიკი პროტესტი.

---

იბეჭდება პირველად.

# ნუ ვაგვიანებთ!

ჩერნობილის ტრაგედიიდან 5 წლის შემდეგ უკრაინა და ბელორუსია უბედურების ზონად არის გამოცხადებული.

გაზეთ „იზვესტია“-ს (№220. 8. 08. 90 წ.) ცნობით, საკავშირო ჯანდაცვის სამინისტრომ მიმდინარე წელს შერჩევით შეამოწმა უკრაინის მთელ რიგ ოლქებში წარმოებული პროდუქტების ვარგისიანობა რადიონუკლიდების შემცველობაზე. შემოწმებით დადგინდა, რომ მხოლოდ კიევის, ჟიტომირის, როვენსკის, ჩერნიგოვის ოლქებში დაიწუნეს პროდუქტების 15%.

ყურადღებით გაეცანით ამ ინფორმაციას, ძვირფასო მკითხველო — თუ შერჩევითი შემოწმებისას დაიწუნეს პროდუქტების 15%, როგორ გაიზრდებოდა ეს პროცენტები, შემოწმება რომ ტოტალური ყოფილიყო და რომ შემოწმებისას ყურადღება არა საკავშირო, არამედ რადიონუკლიდების საკვებ პროდუქტებში შემცველობის რესპუბლიკური ნორმატივები. აი ასეთი (უკრაინისა, ბელორუსიისა და რუსეთის იმ ოლქებიდან, რომლებმაც განიცადეს ჩერნობილის ზეგავლენა) ოლქებიდან 1986 წლიდან დღემდე საქართველოში მასიურად შემოდის სხვადასხვა პროდუქტები.

1989 წლის მონაცემებით საქართველოში უკრაინიდან ხორცი და რძის პროდუქტები შემოდის შესაბამისად — 79,6%, 70,9%; ყველი — 33,7%; რძის კონსერვები — 14,3%; მშრალი რძე — 68,7%, კვერცხი — 80,9%; შაქარი — 39,4%. ბელორუსია — რძე და რძის პროდუქტები — 16,7%; ცხოველური ცხიმი — 16%; რძის კონსერვები — 20,4%; მშრალი რძე — 22,8%.

გარდა ამისა, ამ რესპუბლიკებიდან დიდი რაოდენობით შემოდის მსუბუქი მრეწველობისა და კულტსამეურნეო საქონელი. ასე მაგალითად: სამეურნეო საპონი 100%-ით შემოდის უკრაინიდან, საშენი მასალები უკრაინიდან — 25%, ბელორუსიიდან — 16,7%.

ყურადსაღებია ის გარემოება, რომ მხოლოდ უკრაინა და ბელორუსიაა საქართველოსათვის საკვები პროდუქტების ძირითადი მომწოდებელი. დანარჩენი რესპუბლიკების წილი პროდუქტების მოწოდებაში ძალზედ მცირეა. ბუნებრივად იბადება კითხვა — რაღა მაინცა და მაინც ჩერნობილის კატასტროფით დაზიანებული რესპუბლიკები გახდნენ საქართველოსათვის პროდუქტების ძირითადი მომწოდებლები.

შედეგებმაც არ დააყოვნა. საქართველოში იმატებს მწვავე ლეიკოზები, სიმსივნური დაავადებები. ბავშვებში აღრიცხულია თმების უმიზეზო გაცვენის — ალოპეციის რამდენიმე შემთხვევა.

საქმეს არ შველის 1990 წლის 1 აპრილს რესპუბლიკის მთავარი სახელმწიფო სანიტარული ექიმის მიერ დამტკიცებული საკვებ პროდუქტებში რადიონუკლიდების ზღვრულად დასაშვები ნორმატივები, რადგანაც მომწოდებლისათვის კანონს წარმოადგენს არა რესპუბლიკური, არამედ საკავშირო ნორმატივები. მდგომარეობას კატასტროფულს ხდის ის გარემოება, რომ რესპუბლიკის სახელმწიფო სანიტარულ სამსახურს, თანამედროვე აპარატურის უქონლობის გამო, უჭირს შემოზიდული პროდუქტების შერჩევითი ანალიზების ჩატარებაც კი. რესპუბლიკაში უწყვეტი კონტროლი რადიონუკლიდების შემცველობაზე დაწესებულია მხოლოდ 1990 წლის მარტის თვიდან.

1986 წლიდან 1990 წლის აპრილამდე რესპუბლიკის სანეპიდსამსახური ხელმძღვანელობდა საკვებ პროდუქტებში რადიონუკლიდების შემცველობის დასაშვები საკავშირო ბარბაროსული ნორმატივებით, რაზეც ნათლად მეტყველებს რესპუბლიკის ჯანდაცვის სამინისტროში 1987 წლის 20 თებერვალს (№44/სს) საკავშირო ჯანდაცვის სამინისტროსაგან შემოსული ბარათი და რომელიც რესპუბლიკის სახელმწიფო სანეპიდსამსახურის დღევანდელმა მესვეურებმა ყოველგვარი დაფიქრებისა და ანალიზის გარეშე უყოყმანოდ მიიღეს სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად. ამ ნორმატივის მიხედვით საკვებად ვარგისი იყო ხორცი, თუ იგი რადიონუკლიდებს შეიცავდა 3700 ბკ/კგ-ზე რაოდენობით.

ეს ყოველივე მიგვაჩნია დანაშაულად საქართველოს როგორც დღევანდელი, ისე მომავალი თაობების წინაშე. პროგნოზი იმისა, თუ რა მოელის საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობას მომავალში, მეტად დამაფიქრებელია.

ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით საქართველოს მთავრობამ დაუყოვნებლივ უნდა შეწყვიტოს ყოველგვარი სავაჭრო ურთიერთობა უკრაინასთან, ბელორუსიასთან და რუსეთის იმ ოლქებთან, რომლებმაც განიცადეს ჩერნობილის ზეგავლენა, წინააღმდეგ შემთხვევაში მთელი პასუხისმგებლობა მოსალოდნელ შედეგებზე მას დაეკისრება.

შექმნილ რთულ სიტუაციაში კოოპერატივებსა და კერძო პირებს აეკრძალოთ რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ყოველგვარი სავაჭრო ოპერაციების წარმოება.

საქართველოში პრობლემური გახდა აგრეთვე ისეთი საკითხი, როგორიცაა საკვებ პროდუქტებში ნიტრატებისა და პესტიციდების შემცველობა. ქ. თბილისის სანიტარული სამსახურის მიერ ჩატარებულმა შემოწმებებმა ცხადყო, რომ ხილ-ბოსტნეულით მოვაჭრე ქსელსა და საკოლმეურნეო ბაზრებში კვლავ იყიდება ისეთი ბაღჩეული პროდუქტები, რომლებშიც არ არის გამოკვლეული ნიტრატების შემცველობა, ხოლო პესტიციდების ნარჩენი რაოდენობის განსაზღვრა დღემდე არ დაწყებულა.

ქალაქის სანიტარული სამსახურის მიერ აღნიშნულ პრობლემაზე საკითხი ორჯერ, 1990 წლის თებერვლისა და აგვისტოს თვეში გაიტანეს საქალაქო აღმასკომის სხდომაზე. საკითხი ორჯერვე მოიხსნა განხილვისაგან. უნდა აღინიშნოს, რომ მომზადებულ საკითხში თბილისის აგრომრეწვის, თბილისის სამომსახურებლო საზოგადოებაში შემავალი საკოლმეურნეო ბაზრების და ვეტსანიტარული სამსახურის მუშაობა მოსახლეობისათვის სუფთა კვების პროდუქტების მიწოდების საქმეში ჩაითვალა არადამაკმაყოფილებლად. საინტერესოა, ვინ იყო დაინტერესებული აღმასკომზე ამ საკითხის მოხსნით?

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე ბევრი პრობლემაა დაგროვებული, რომლებსაც უშუალო კავშირი აქვთ საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობასთან. ნუ ვაგვიანებთ ამ პრობლემების გადაწყვეტას, წინააღმდეგ შემთხვევაში გვიან იქნება „თითზე კბენანი“.

მაუგლი ჩხიკვაძე,
სრულიად საქართველოს წმინდა ილია მართლის საზოგადოების ეკოლოგიური სექციის ხელმძღვანელი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი;

თამარ დარჩია,
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი, საქართველოს სახალხო ფრონტის წევრი.

# მეორე მსოფლიო ომის ვეტერანთა გასაჭირი, იმედები და ამოცანები

**ეს ორიოდე კვირაა, რაც სახალხო ფრონტთან არსებობს II მსოფლიო ომის ვეტერანთა ასოციაცია. გთავაზობთ ამ ასოციაციის თავმჯდომარის წერილს.**

**რესპუბლიკაში** მცხოვრები II მსოფლიო ომის ვეტერანები და ამ საკითხით დაინტერესებული მოსახლეობის უმეტესობა ჩვენი პრესისა და ტელევიზიის საშუალებით მიმდინარე წლის იანვარსა და შემდგომ თვეებში ინფორმირებულია იმის შესახებ, რომ 1990 წლის 6 იანვარს ქ. თბილისში ჩატარდა სრულიად საქართველოს II მსოფლიო ომის ვეტერანთა ასოციაციის დამფუძნებელი ყრილობა. ყრილობამ მიიღო სათანადო წესდება და აირჩია ხელმძღვანელი ორგანოები. შემდგომში, თანახმად არსებული წესისა, ასოციაციის რეგისტრაციისათვის ყველა საჭირო საბუთები წარდგენილი იქნა რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოში და ამ დღიდან იწყება საოცრებათა მთელი კასკადი. მინისტრთა საბჭოს საერთო განყოფილების ხელმძღვანელობამ (ამხ. ამხ. კ. კეთილაძე, ზ. კაციტაძე) განსახილველად მოამზადა სავსებით დადებითი და არგუმენტირებული დასკვნა ასოციაციის შექმნის აუცილებლობასა და კანონიერებაზე. საკითხი იქნა გატანილი სამსჯავროდ პრეზიდიუმის სხდომაზე, სადაც მიწვეული ვიყავი, როგორც ასოციაციის არჩეული პრეზიდენტი. მოხდა პირველი საოცრება: ბატონმა ნ. ჭითანავამ საკითხი განიხილა ძველ კლასიკურ სტილში, ჩემთვის არც შემოუხედავს, არც პასუხი გაუცია და არც დაჯდომა შეუთავაზებია (იმ დროს მოტეხილი მქონდა მარჯვენა მხარი და სხდომაზე გამოვცხადდი მოზრდილი თაბაშირის ნახვევით). თუმცა მან ძალიან კარგად იცოდა, რომ ვიყავი მასზედ ასაკით ბევრად უფროსი, ომის ინვალიდი, პროფესორი, მეცნ. დამსახურებული მოღვაწე და სამედიცინო ინსტიტუტის პრორექტორი სამეცნიერო მუშაობაში, მაგრამ ამას თავი დავანებოთ, ვინაიდან შეხვედრის ასეთ სტილს დიდი ხანია დაჩვეულები ვართ. მე იმდენად შორს ვიყავი, რომ კარგად ვერ გავიგე, თუ რა სთქვა ბატ. ნოდარმა, ალბათ იკითხა, ყველა დამსწრე თანახმა იყო თუ არა ასოციაციის რეგისტრაციისა. ამ დროს დარბაზიდან თავმჯდომარისკენ გაემართა ერთი მოქალაქე (როგორც შემდგომში გავიგე, ბატ. შალვა კიკნაძე), რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ყოფილი ერთ-ერთი მოადგილე, მან რაღაცა უთხრა ბატონ ნოდარს, რომელმაც გააკეთა ასეთი დასკვნა: „აღნიშნული საკითხი მხარეებს შორის არ ყოფილა შეთანხმებული და ამდენად მის განხილვას აზრი არ აქვსო", ჩემთვის კი არაფერი უკითხავთ. საკითხავია, თუ კი მე, ასოციაციის პრეზიდენტს და 80 ათასი კაცის წარმომადგენელს არაფერი მეკითხებოდა, მაშინ რაღა საჭირო იყო ავადმყოფი ადამიანის პრეზიდიუმის სხდომაზე მოწვევა? მე მთხოვეს, სხდომა დამეტოვებინა და ამით დამთავრდა პირველი საოცრება. ნუთუ მთავრობის თავმჯდომარეს არ უნდა ჰქონდეს პროგნოზირების ელემენტარული ალღო და ვერ უნდა განსაზღვროს, რომ ჩემი შეურაცხყოფა (და სხვა არაფერი იყო მისი იმდღევანდელი ქცევა) შეურაცხყოფაა მთელი იმ 700 ათასი კაცისა, რომელიც მონაწილეობდა ამ ომში და მათგან 300 ათასი კაცი შინ არ დაბრუნებულა. ნუთუ არ უნდა შემკითხოდა ზრდილობისათვის მაინც, თუ რაში იყო საქმე, რატომ ჩამოყალიბდა ასოციაცია და ვისთან რა უნდა შემეთანხმებინა, როცა ვეტერანთა დამფუძნებელმა ყრილობამ ყველა ის საკითხი, რაც გადასაწყვეტი იყო, გადაწყვიტა სრული დემოკრატიულობის პრინციპებით, მაგრამ ბატონი ნოდარი ალბათ ძველი სტერეოტიპების ზეგავლენის ქვეშ არის და არც აპირებს მათგან თავის დაღწევას.

საოცრებები (უფრო სწორედ ბიუროკრატიული სისტემის უკანონობანი) კვლავაც გრძელდება, იწყება ჩვენი (პრეზიდენტისა და სამი ვიცე-პრეზიდენტის) გაუთავებელი მსვლელობები და ტელეფონით დაკავშირება მინისტრთა საბჭოს საერთო განყოფილების თანამშრომლებთან, მაგრამ ყველაფერი უშედეგოდ — ხან მოადგილეები არ არიან ადგილზე, ხანაც ისინი თავის თავზე ვერ იღებენ ამ მეტად „რთული" საკითხის ნ. ჭითანავას გარეშე გადაწყვეტას. ნ. ჭითანავა კი არც გვიღებს, არც ჩვენს მიერ მის სახელზე გაგზავნილ დეპეშებზე გვპასუხობს. ასევე არ გვპასუხობს და არ გვხვდება ბატონი გივი გუმბარიძეც. ორჯერ შევხვდით ცკ მდივანს ბატონ ვ. გურგენიძეს, რომელმაც ძალიან თბილად და კარგად მიგვიღო, შეგვპირდა ყოველგვარ დახმარებას და ისევ უშედეგოდ.

ალბათ მკითხველს დააინტერესებს, თუ რა მოხდა ასეთი, რა დააშავეს ამ ათასჯერ მოტყუებულმა ომის ვეტერანებმა, რომ ვერაფრით ვერ მოხერხდა მათი ასოციაციის სახელმწიფო რეგისტრაცია. მაშინ, როდესაც დღეისათვის რესპუბლიკაში რამოდენიმე ათეული ასოციაციაა რეგისტრირებული?

იმისათვის, რომ მკითხველისათვის ნათელი გახდეს, თუ რამ განაპირობა ყველა ეს უკანონობანი, საჭიროა ცოტა უკან დავბრუნდეთ და გავიხსენოთ ბატონ ნ. ჭითანავას დასკვნა: „საკითხი მხარეებს შორის არ ყოფილა შეთანხმებული..." აი სწორედ აქ არის დამარხული ძაღლის თავი. ბატონი ნოდარი გულისხმობდა შეთანხმებას ბატონ შალვა კიკნაძესთან, რომელიც ამჟამად ხელმძღვანელობს შრომისა და ომის ვეტერანთა რესპუბლიკურ კომიტეტს. ჯერ ერთი, მსოფლიოში არ არსებობს პრეცედენტი, რომ შრომისა და ომის ვეტერანთა ინტერესების დაცვა გაერთიანებული იყოს ერთ რომელიმე ორგანიზაციაში და მეორეც, არც ბატონ შალვასა და არც მის მოადგილეს (მიუხედავად მათი დიდი დამსახურებისა სახელმწიფოს წინაშე) არავითარი მონაწილეობა არ მიუღიათ ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლებში, ამდენად მათ, სანამ საქართველოში ცხოვრობს 80 ათასი ომის მონაწილე, არავითარი მორალური უფლება არ აქვთ, ხელმძღვანელობდნენ ომის ვეტერანთა კომიტეტის საქმიანობას, ის უნდა გამოიყოს დამოუკიდებლად და მას სათავეში ჩაუდგეს ომის ვეტერანი. ამ უკუღმართობის ახსნაც არ არის ძალზე რთული — როგორც თავმჯდომარე, ასევე მოადგილე ბატონი ნოდარისათვის და ყველა ზემდგომი ორგანოებისათვის მეტად დაფასებული და პატივცემული პიროვნებები იყვნენ და რომ უადგილოდ არ დაეტოვებინათ, უბრალოდ გადააადგილეს ვეტერანები ვეტერანების კომიტეტში, მაგრამ საქმე? საქმე კი ბატონ თავმჯდომარეს ალბათ მაინცადამაინც არ აწუხებს და დღევანდელ სიტუაციაში არც არის გასაკვირი. ამ არეულობისა და აღრეულობის პირობებში ვის უნდა აინტერესებდეს ზღვრულ ასაკს მიღწეული ომის ვეტერანები, რომელთა ხსოვნაც ალბათ ამ 10-15 წლის შემდეგ მხოლოდ სადღეგრძელოებში თუ შემორჩება ჩვენს შთამომავლობას. და აქედან მთავარია — ღლესხვალიაობით როგორმე გაუძლონ ამ 10-15 წელიწადს, ხოლო შემდეგ ბუნება თვით გაასწორებს ყველაფერს. კი მაგრამ, რატომ, რა დავუშავეთ ბატონ ნოდარს, ან ჩვენი მთავრობის სხვა წევრებს? სხვა რომ არაფერი, მათი მამები, ბაბუები, და ა. შ. ისინიც ხომ ჩვენს გვერდით იბრძოდნენ?

ამერიკელმა ჰემფრიმ სადღაც სთქვა, რომ მთავრობის მორალური სახე ფასდება იმის მიხედვით, თუ როგორ ხვდება ის ახალი ადამიანის გაჩენას დედამიწაზე და როგორ აცილებს თავის მხცოვან მოქალაქეებს სამუდამო სამყაროში.

თუ როგორ ხვდება ჩვენი მთავრობა ჩვენს ახალშობილებს, ეს მკითხველებს კარგად მოეხსენებათ, ხოლო თუ როგორ აცილებენ მუდმივ სამყაროში, ამას ჩვენი — მეორე მსოფლიო ომის ვეტერანთა მაგალითიც კარგად უჩვენებს.

გამომდინარე ყოველივე ზემოთქმულისაგან, ასოციაციის პრეზიდიუმი და გამგეობა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ რესპუბლიკის მთავრობას ან არ სურს, ან არ ძალუძს (ჩვენთვის ამას დიდი მნიშვნელობა არ აქვს) ყურად იღოს ომის ვეტერანთა გასაჭირი, სათანადოდ დააფასოს მათი ღვაწლი მსოფლიოს ხალხების მიერ დაგმობილ ფაშიზმზე გამარჯვების საქმეში. აღნიშნულს თავს ვერ ართმევს ვერც ერთი დღემდე არსებული ოფიციალური სახელმწიფო ორგანო თუ დაწესებულება, რასაც კარგად ადასტურებს ის საჩივრები, რომელიც შემოსულია ამ მოკლე ხანში ასოციაციის სახელზე.

პრეზიდიუმი და გამგეობა გამომდინარეობდა რა ამ დასკვნიდან, მიიღო გადაწყვეტილება, რომ დღეისათვის საქართველოში ერთ-ერთი ორგანიზაცია, რომელსაც თავისი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობით და საქართველოს კეთილდღეობისათვის მუდმივი ზრუნვით ძალუძს შეიფაროს და გვერდში ამოუდგეს მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებს, არის საქართველოს სახალხო ფრონტი. ამავე დროს აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ასოციაციის და სახალხო ფრონტის წესდებებიც ბევრ კონკრეტულ საკითხებში მსგავსი ან იდენტურია. ამიტომაც საქართველოს სახალხო ფრონტის დარბაზმა განიხილა და დააკმაყოფილა ასოციაციის გამგეობის თხოვნა, რეგისტრაციაში გაეტარებინა მეორე მსოფლიო ომის სრულიად საქართველოს ვეტერანთა ასოციაცია, რომელიც ამჟამად იწოდება საქართველოს სახალხო ფრონტის მეორე მსოფლიო ომის ვეტერანთა სრულიად საქართველოს ასოციაციად.

ამჟამად, როცა საბოლოოდ გადაწყდა ომის ვეტერანთა იურიდიულ პირად მიჩნევის საკითხი, ჩვენი უპირველესი ამოცანაა, ყველა იმ ქალაქსა და რაიონში, სადაც დღემდე არ შექმნილა ომის ვეტერანთა ასოციაცია, მოხდეს მათი ჩამოყალიბება შესაბამისი საქალაქო და სარაიონო საქართველოს სახალხო ფრონტის ადგილობრივ ორგანიზაციებთან. ეს მეტად საჭირო საქმეა, რადგან ახლოვდება საქართველოს უზენაესი საბჭოს მრავალპარტიული არჩევნები და ჩვენი ასოციაციის ყველა წევრმა სათანადო მუშაობა უნდა გასწიოს იმისათვის, რომ ხმა მისცენ მხოლოდ დეპუტატობის იმ კანდიდატს, რომელიც იზრუნებს საქართველოსთვის, ხალხისათვის...

დაბოლოს, არ შემიძლია არ შევჩერდე ერთ მეტად საჭირბოროტო საკითხზედ. დღეისათვის ხშირად გვესმის, რომ ვართ კი ღირსნი დაფასებისა და პატივისცემის, ვინაიდან ჩვენ კი არ ვიბრძოდით ქართულ ლაშქარში, არამედ რუსეთის არმიაში, ერთიანი უნიფორმის ქვეშ. ასეთი კითხვის დამსმელებს ავიწყდებათ ერთი ჭეშმარიტება, რომ ფაშიზმის წინააღმდეგ იბრძოდა მთელი პროგრესული კაცობრიობა, ხოლო თუ ბრძოლა იყო საყოველთაო, მსოფლიოს ერთიანი მტრის წინააღმდეგ, მაშინ არ აქვს მნიშვნელობა იმასაც, ქართველი კაცი ფაშისტებს ებრძოდა იტალიაში, საფრანგეთში თუ ჰოლანდიაში, მას ყველგან თავისი წვლილი შეჰქონდა საერთო მტრის განადგურებებში. ბევრმა მათგანმა სახელი გაითქვა, როგორც უშიშარმა და თავდადებულმა მებრძოლმა, რითაც ასახელა თავისი ქართველი ხალხი. ინტერესმოკლებული არ იქნება აღვნიშნოთ ის ფაქტიც, რომ დღეისათვის ამერიკის შეერთებულ შტატებში პენსიას — 1400 დოლარს — უხდიან ყველა ვეტერან მცხოვრებლებს მიუხედავად მისი წარმოშობისა, მოქალაქეობისა და იმისა, თუ ვისი უნიფორმით იბრძოდა ფაშიზმის წინააღმდეგ. აი ასეა დაფასებული ცივილიზირებულ სამყაროში ფაშიზმის წინააღმდეგ მებრძოლი ჯარისკაცი.

დადგენილია ის ფაქტიც, რომ საბჭოთა კავშირმა რიცხობრივად ყველაზე მეტი მსხვერპლი გაიღო ფაშიზმთან ბრძოლაში, ხოლო საბჭოთა კავშირში შემავალ ხალხთა შორის პროცენტულად ყველაზე მეტი მსხვერპლი გაიღო ქართველმა ხალხმა, ამიტომაც ჩვენი ვალია, კი არ მივჩქმალოთ ჩვენი მონაწილეობა და წვლილი მსოფლიო ხალხების ფაშიზმზე გამარჯვების საქმეში, არამედ ყოველმხრივ წარმოვაჩინოთ და საქვეყნოდ განვაცხადოთ, რომ ამ მცირერიცხოვანმა ერმა 700 000 ჯარისკაცი გაგზავნა საერთო მტერთან საბრძოლველად და აქედან 300 000 გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე. ნუთუ საამაყო და ამავე დროს სამწუხაროც არ არის, რომ ეს მცირერიცხოვანი ერი, რომელსაც კარგად ვერც კი იცნობენ მსოფლიოს მრავალ კუთხეში და ალბათ ვერც რუქაზე პოულობენ, ფაშიზმთან მებრძოლ ხალხებს შორის უპირველესია თავისი ისედაც მცირერიცხოვანი შვილების დანაკარგის მიხედვით.

უნდა აღინიშნოს ის ჭეშმარიტებაც, რომ იმ შემთხვევაში, თუ ფაშისტური ჯარების შენაერთები გადმოლახავდნენ კავკასიონის ქედს, მაშინ სამხრეთიდან დაიწყებოდა ჩვენი მუდმივი მტრის ჯარის შემოჭრა და ამდენად საქართველო ოკუპირებული იქნებოდა როგორც გერმანელების, ისე თურქების მიერ. ოკუპაცია კი, როგორც მოგეხსენებათ, არ არის ჯარის საზეიმო აღლუმი ან გასეირნება, ეს არის ძარცვა და წამება, შეურაცხყოფა და ფიზიკური განადგურება, დამცირება და შიმშილი. ვიცით რა ჩვენი ხალხის ბუნება, ღრმად დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ვერც ერთ მტრის ზემოთჩამოთვლილ ქმედებას ჩვენ ვერ ავიტანდით, დაიწყებოდა პარტიზანული ომი, სადაც, დაიღუპებოდა ჩვენი ახალგაზრდობის დიდი ნაწილი, დაინგრეოდა ქალაქები და რაიონები, ციხეები და ტაძრები. ამავე დროს, ისე როგორც სხვაგან, ჩვენთანაც აღმოჩნდებოდნენ რენეგატები და ხალხის მოღალატეები, რომლებიც რეპრესირებული და განადგურებული იქნებოდნენ გერმანიის დამარცხების შემდეგ. აი ის რეალური სურათი, რაც მოჰყვებოდა თურქეთ-გერმანიის მიერ საქართველოს ოკუპაციას. ნუთუ ეს ჭეშმარიტება დღეისათვის საკამათო უნდა იყოს ჩვენი ხალხისათვის. მაგრამ ჩვენმა ვაიიდეოლოგებმა ისე „ბრძნულად" წარმართეს თავიანთი საქმიანობა, რომ ელემენტარულ ჭეშმარიტებაშიც კი ვერ გაარკვიეს ჩვენი ახალგაზრდობა და გარდა ამისა, სახელმწიფომ თავისი უსულგულო დამოკიდებულებით ომის ვეტერანთა მიმართ სასაცილოდაც კი ააგდებინა ახალგაზრდობას ისინი (ამას ამტკიცებს ის უკბილო ანეკდოტები, რომლებსაც ხშირად მოისმენ ომის ვეტერანებზე), რადგანაც მთელი ზრუნვა და დახმარება დაყვანილი იქნა ორ კილოგრამ ხორცამდე და ერთ კილოგრამ უხარისხო ყველამდე. ამიტომაც გადავწყვიტეთ დავეყრდნოთ და ჩვენი ბედი დავუკავშიროთ იმ ხალხს, რომელიც გაიგებს ჩვენს სიდუხჭირეს, დააფასებს ჩვენს ღვაწლს მსოფლიო ხალხების მიერ ფაშიზმზე გამარჯვების საქმეში და ამით შეუქმნის ჩვენს თავისუფალ და დემოკრატიულ საქართველოს მორალურად სრულყოფილ სახელმწიფოს სახელს.

**გივი დუმბაძე,**
**პროფესორი.**

**რედაქციისაგან:** ავტორის ნათქვამს უნდა დავძინოთ, რომ გერმანელების მიერ 1942 წელს კავკასიონის გადმოლახვის შემთხვევაში საქართველოს სხვა საშიშროებაც ელოდა, გარდა ფრონტის გადავლისა ჩვენს ტერიტორიაზე და რუსული ოკუპაციის დროებითი შეცვლისა თურქული ოკუპაციით. ეს გახლავთ ის რეპრესია, რასაც ისევ მობრუნებული რუსული არმია და დამსჯელი აპარატი „მტრის მიერ დროებით ოკუპირებული ტერიტორიის" ქართველ მოსახლეობას დაატეხდა თავს.

**წერილების მინაწერი:** შალვა კიკნაძისადმი მიმართული წერილის გამოქვეყნებას არ ვაპირებდით, თუმცა იგი საკმაო ხანი დევს ჩვენს რედაქციაში. მაგრამ ახლა მისი დაბეჭდვა უპრიანად მივიჩნიეთ. კიდევ ერთხელ ნათლად ვრწმუნდებით, რა შეუძლია ერთი ან რამდენიმე პიროვნების უპასუხისმგებლო განცხადებასა თუ მოქმედებას. მათ გამო ათასობით სხვას ედება ჩრდილი, იმ ადამიანებს, რომლებიც, გვინდა გვჯეროდეს, ყოველნაირად ცდილობენ, ერის სამსახურში იყვნენ და ფეხი აუწყონ ჩვენს რთულ პრობლემებითა და განსაცდელით სავსე, საინტერესო დროს.

## ღია ბარათი ომისა და შრომის ვეტერანთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარეს ბატონ შალვა კიკნაძეს

**ბატონო** შალვა! დავესწარით თქვენი ინიციატივით ა/წლის 20 ივნისს პროფსაბჭოს შენობაში ჩატარებულ ომის ვეტერანთა შეკრებას, რამაც გული დაგვწყვიტა. დღემდე არ მეგონა, თუ საქართველოს თქვენი სახით (იგულისხმება თქვენი საკრებულო) ამდენი მტერი ჰყავდა. დიახ, მტერი! ნიშანდობლივია, რომ თქვენი შეკრებაც გამიზნულად დაამთხვიეთ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს სესიას. კრებაც გახსენით შემდეგი სიტყვებით: „ჩვენ მთელი არმია ვართ — ე. ი. ძალა, მართალია დღეს ეგრეთწოდებული ეროვნული მოძრაობა ღალატში გვდებს ბრალს, თითქოს ფუჭად გვიომია და გვიღვრია სისხლი", რასაც დარბაზის ხარხარი მოჰყვა. ვიღაცის რეპლიკაზე, სად არის მთავრობაო, თქვენ განაცხადეთ: „ახლავე მოგახსენებთ! ვიღაც ოთხმა გიჟმა ახალგაზრდამ შიმშილობა გამოაცხადა და სესიას იწვევსო". და აბუჩად აიგდეთ თავისუფლებისათვის, სამშობლოსათვის სიცოცხლის გასაწირავად მზად მყოფი ჭაბუკები. აფერუმ, ძველო მეომრებო. ნუთუ ეს იყო თქვენი მიზია — იმისათვის იბრძოდით, რომ სიბრალულის, თანადგომის და მადლიერების გრძნობა დაგვკარგვოდათ?! თუ იბრძოდით მხოლოდ იმიტომ, რომ გეშინოდათ, უკან მომყოლი თქვენი მეგობრის ტყვია არ დაგწეოდათ! ან ამდენი ცინიზმი, ამდენი ირონია საიდან გაგიჩნდათ ძვირფასო მამებო შვილებისადმი?!

უმადურობაში რომ გვდებთ ბრალს, თითქოს არ ვაფასებდეთ თქვენ „დიად ღვაწლს სამშობლოსათვის გაწეულს", დიახაც სწორია! თქვენი სისხლი, როგორც ყოველი მამლუქისა, შეეწირა იმპერიის ინტერესებს და არა საქართველოსას. და თუ მე ვცდები (ღმერთმა ქნას ვცდებოდე) და თქვენ აგრე ძალუმად გიძგერთ გული სამშობლოსათვის, დადექით შვილებთან, შვილიშვილებთან, მთელ საქართველოსთან! მერწმუნეთ, ათასჯერ დაგიფასდებათ ყოველივე, მაგრამ არა! როგორც ყველა თქვენი თაობის მებრძოლი ბოლშევიკი, „რომლებმაც წალმაუკუღმა გადაზნეს საქართველო", მიილტვით პრივილეგიებისაკენ, უფრო მეტი კომფორტისაკენ! ერთი შეხედვით, ცუდი ამაში არაფერია, მაგრამ ვის ხარჯზე, ძვირფასებო?

უკმაყოფილო ხართ, რომ დღემდე ვერ მოაგვარა მთავრობამ თქვენი საკუთარი გაზეთის გამოცემა, მაშინ, როცა „არაფორმალების" ახობით გაზეთი გამოდის. ჩვენის აზრით, თქვენი გამოცემა საერთოდ უნდა აიკრძალოს, თუ ასეთისათვის მართლაც მზადდება ნიადაგი, ვინაიდან ვხვდებით, რა ანტიეროვნული შინაარსისა და დოგმების „სალაროც" იქნება იგი.

ზეპრივილეგიების მიღების ხურვილით დაავადებულთ არა გხურთ ანგარიში გაუწიოთ საქართველოში დღეს მიმდინარე პროცესებს, არ გაწუხებთ არც დამეწყრილი აჭარლების, სვანებისა და ათასობით უსახლკაროდ დარჩენილი თანამოძმეების ბედი და პირადად თქვენ და თქვენი „არმია" მოითხოვს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოსაგან, დაუყოვნებლივ დაკმაყოფილდეს თქვენი კატეგორიული მოთხოვნა: კომუნალური ბინები, სადაც ცხოვრობენ სამამულო ომის ვეტერანები, ყირგიზეთისა და უზბეკეთის მსგავსად უსასყიდლოდ გადაეცეთ მათ საკუთრებაში. წინააღმდეგ შემთხვევაში იმუქრებით მთავრობის სახლის წინ აქციის მოწყობითა და შიმშილობით...

ყოველივე ამის შემდეგ ძალიან გვიჭირს, დაგიჯეროთ ბატონო შალვა, რომ სამშობლოსათვის, მსოფლიოს გადარჩენისათვის იბრძოდით! ან როგორ დავიჯეროთ თქვენი ღვაწლი მოძმე ერების პოლონელების, ჩეხების, უნგრელებისა და სხვა ხალხთა განთავისუფლების საქმეში, როცა საკუთარ შვილებს აღარ ინდობთ უფრო მეტი ულუფის მისაღებად!

**ოთარ ნაჭყებია,**
**იურისტი.**

გთხოვთ, ჰონორარი გადარიცხოთ მერაბ კოსტავას სახელობის ფონდში.

# ამ მთისა და იმ მთისა

## საზღვარი სსრკ-სა და ირანს შორის გახსნილია

**საზღვარი** ირანსა და საბჭოთა აზერბაიჯანს შორის, რომელიც ამა წლის იანვარში დემონსტრაციების დროს დარღვეული იყო, ახლა ოფიციალურად გახსნილია ამ რაიონებში მცხოვრებთა ერთმანეთთან ურთიერთობით მიმოსვლისათვის. როგორც ირანის საინფორმაციო სააგენტო ირნა იტყობინება, ირანელთა პირველი ჯგუფი გადმოვიდა საზღვარზე სასაზღვროგამტარ პუნქტ ჯულფაში.

[...]სობით საბჭოთა და ირანელ აზერბაიჯანელთა მიერ საზღვარზე არალეგალურ გადასვლათა აღსაკვეთად, მხარეთა მიერ თებერვალში მიღწეულ შეთანხმების საფუძველზე, ამიერიდან ნებადართულია 15 კილომეტრის რადიუსში მცხოვრებთა თავისუფალი სტუმრობა მეზობელ ქვეყანაში 15 დღის განმავლობაში, გვამცნობს ირნა. ირანელებს შეუძლიათ საზღვარზე გადაიტანონ 670 მარკა (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მარკის ადეკვატური ვალიუტის ანგარიშით), ხოლო საბჭოთა მოქალაქეს — 800 მარკა.

„ზიუდდოიჩე ცაიტუნგ“

## ჰიტლერი აღარ არის პოსტდამის საპატიო მოქალაქე

გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში კომუნისტური რეჟიმის არსებობის შეწყვეტისთანავე პოსტდამის ხელისუფლებამ ჩამოართვა ჰიტლერს ქალაქის საპატიო მოქალაქის წოდება. ბერლინის მახლობლად მდებარე ამ პატარა ცენტრის საქალაქო საბჭომ ბოლოს და ბოლოს გამოასწორა შეცდომა, რომლის გამოსწორებასაც რატომღაც გაურბოდა წლების განმავლობაში.

„სტამპა“

## რუსეთი მზადაა გახდეს ოპეკის წევრი

რუსეთს სურს გახდეს ნავთის ექსპორტიორ ქვეყანათა ორგანიზაციის წევრი და მონაწილეობა მიიღოს როგორც ნავთის წარმოებაში, ასევე ფასების კოორდინაციაში, განაცხადა რუსეთის მინისტრმა.

„ჩვენ მზად ვართ, შევიდეთ ოპეკში და გავხდეთ ამ ორგანიზაციის წევრი. თავიდან ჩვენ, როგორც სჩანს, ვიქნებით მეთვალყურის როლში; მოგვიანებით კი გავხდებით სრულუფლებიანი წევრი“, — თქვა პრესკონფერენციაზე საგარეო ეკონომიკური კავშირების მინისტრმა ვიქტორ იაროშენკომ.

ვ. იაროშენკომ განაცხადა, რომ ნავთის მოპოვების კოორდინაციის დროს გათვალისწინებული უნდა იქნას მისი მოპოვება როგორც რუსეთში, მსოფლიოში ერთ-ერთ უდიდეს ნავთის მწარმოებელ ქვეყანაში, ასევე სხვა ქვეყნებში.

მინისტრმა შემდეგ აღნიშნა, რომ აიღო რა ბუნების ყველა რესურსის კონტროლი თავის ხელში, რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ უარყო საკავშირო მთავრობის წინადადება, შექმნილიყო სპეციალური ორგანო რესპუბლიკებში ნავთის წარმოების კვოტების დასადგენად.

რუსეთზე მოდის საბჭოთა კავშირში 1981 წლის განმავლობაში მოპოვებული 12,1 მილიონი ბარელი ნავთის 90 პროცენტი.

„ინტერნეიშნელ ჰერალდ ტრიბუნ“.

## მილიარდელები

მსოფლიოში მილიარდელებს შორის 99 ამერიკელია, 40 იაპონელი, 38 გერმანელი და ორი კოლუმბიელი — კოკაინის მაფიის ხელმძღვანელი.

„ფორბსი“

## როგორი წარმოდგენა აქვთ ერთმანეთზე რუსებსა და პოლონელებს?

სიყვარული თანაზიარობის გარეშე. ასე აფასებენ რუსებისა და პოლონელების ურთიერთდამოკიდებულებას ორივე ქვეყნის სოციოლოგები. მაისის ბოლოს ჩატარებული საზოგადოებრივი გამოკითხვის დროს, იდენტური ანკეტები შეავსეს 890 პოლონელმა და 594 მოსკოველმა.

სოციოლოგები ცდილობდნენ გამოერკვიათ პოლონელ მოქალაქეთა პირადი დამოკიდებულება რუსებისადმი და მოსკოველების დამოკიდებულება პოლონელებისადმი. გამოკითხულ პოლონელთა 82 პროცენტმა სრული გულგრილობა გამოხატა რუსებისადმი. 38 პროცენტი დარწმუნებულია, რომ ორივე მხარე ცუდად არის ერთმანეთისადმი განწყობილი. მოსკოველთა 59 პროცენტი აცხადებს, რომ კარგად არის განწყობილი პოლონელთა მიმართ და უმრავლესობა მათ შორის თვლის, რომ ასეთივე გრძნობა აქვთ მათდამი პოლონელებსაც.

სოციოლოგებს აინტერესებდათ, თუ როგორ შეფასებას აძლევენ წითელი არმიის მიერ პოლონეთის საზღვარზე გადასვლას 1939 წელს. მოსკოველთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ ეს იყო აუცილებელი ნაბიჯი ჰიტლერის თავდასხმისაგან უკრაინელთა და ბელორუსთა დასაცავად. ამავე დროს პოლონელთა 80 პროცენტი და რუსთა 45 პროცენტი თვლის, რომ ეს იყო აგრესიული აქტი და ამით დაირღვა საერთაშორისო სამართალი.

„რეჩ პოსპოლიტა“

## სად მიდის ოქრო

საბჭოთა კავშირი იმყოფება ფინანსური კრიზისის წინაშე, რომელსაც აღრმავებს მყარი ვალუტის ექსპორტის ძირითადი საგნის — ნავთის მოპოვების შემცირება და ის დაბრკოლებები, რომლებიც წინ ელობება გარდაქმნას, ყოველივე ამის შედეგად მოსკოვს არ ძალუძს გადაიხადოს ვალი, რომელიც დაედო, როგორც იაპონური ლითონის მილებისა და ახალი ზელანდიის შალის, ასევე დასავლეთ გერმანიის სამედიცინო ინსტრუმენტების შემოტანის შედეგად. საბჭოთა კავშირი მიმართავს უკიდურეს ზომებს — სესხულობს ფულს საერთაშორისო ბაზარზე და იყენებს თავის უდიდეს ოქროს მარაგს ამ სესხის განაღდების დამატებითი გარანტიისათვის. ასეთი გარიგება აიძულებს მოსკოველ ფინანსისტ ტექნოკრატებს, მყარი ვალუტის სასესხებლად მსესხებლების სარდაფებში 3-12 თვით მოათავსონ უძვირფასესი ლითონის ზოდები. საბჭოთა კავშირის მიერ თავის დროს გარანტიით მიღებული სესხის საფასური, როგორც წესი, ამ ლითონის საბაზრო ღირებულებაზე 25 პროცენტით ნაკლებია. წელს 2000 ტონა ოქრო, რაც საბჭოთა კავშირის მარაგის 10 პროცენტად მიაჩნიათ, გააგზავნეს საზღვარგარეთ სესხის გარანტიისათვის. საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ბანკის თავმჯდომარემ ვიქტორ გერაშჩენკომ განაცხადა, რომ საზღვარგარეთის ცენტრალურ ბანკებში გადაგზავნილი იქნება ოქროს ახალი დიდი პარტია ვალების გადასახდელად. მსოფლიო ბაზარზე ამ ძვირფასი ლითონის ფასების დაცემასთან დაკავშირებით 200 ტონა ოქრო სულ მალე დამატებით გადაიტვირთება დასავლეთში.

საერთოდ, ასეთი ოპერაციები არ ამცირებენ ოქროს ფასს, რადგანაც ძვირფასი ლითონის ზოდები არ ხვდებიან უშუალოდ მსოფლიო ბაზარზე. ამჯერად საბჭოთა კავშირი ვერ შესძლებს ისე გაზარდოს თავისი კაპიტალი, რომ შესძლოს, დროულად გამოისყიდოს დაგირავებული ოქროს უდიდესი რაოდენობა. თუ საბჭოთა კავშირის ვალდებულება განაღდებული არ იქნება, მისი ოქროს მარაგის ნაწილი გაიყიდება მსოფლიოს ბაზრებზე. ამ ფართო მასშტაბის სავაჭრო აქციაზე უკვე ფიქრობენ კრედიტორები.

„ტაიმი“

## კომპარტიის ბანკი

საბჭოთა კავშირის კომპარტია, რომელსაც ეს ბოლო ხანია ლილა გაუხუნდა, ფიქრობს, რომ ამ მძიმე პირობებში მას უფრო საიმედო დამცველი სჭირდება, ვიდრე მარქსიზმ-ლენინიზმია. სწორედ ამიტომ გადაწყვიტა, ჩამოაყალიბოს საკუთარი ბანკი, რათა არ დათმოს 72 წლის განუყოფელი ხელისუფლების შედეგად მოპოვებული უზარმაზარი ფინანსური რესურსები. კომპარტბანკს სურს რეგისტრირება კომერციული ბანკის სახით და იმედი აქვს, რომ თავისი არსებობის პირველსავე წელს 5 მილიონ მანეთ მოგებას მიიღებს.

„ტაიმსი“.

**უცხოეთის პრესის მასალების მიხედვით მოამზადა შემოქმედებითმა სტუდია „აზ“-მა.**

მემკვიდრეობა

# რუსეთის ტრაგედია

**ამ ჟამად** მთელი რუსეთი საშინელს უცნაურობას წარმოადგენს. თუ ოდესმე მხოლოდ რჩეულთათვის იყო რუსეთი ჩრდილოეთის სფინქსი, დღეს ასეთი იგი მგონი ყველასათვისაა. რუსეთის ისტორიის ტრაგედია სწორედ ამ საშინელს უცნაურობაშია, — და ჯეროვანია სიტყვა იმ ტრაგედიის შესახებ. ტრაგედიას საერთოდ ორი მომენტი ახასიათებს: პირველი: ტრაგედიის გამცდელში უნდა იყოს ორი შინაძალა ერთი-მეორის მოწინააღმდეგე; მეორე: ერთი ამ ძალთაგანი გამცდელის გარემოს უნდა ეთანხმებოდეს თავის შინაარსით. ამრიგად განწყობილი ორი ძალა ჰქმნის გამცდელში იმთავითვე გარდუვალ ტრაგედიას. რუსეთიც სწორედ ამგვარ წინააღმდეგობით არის სავსე. საჭიროა ამ წინააღმდეგობის გადაშლა. ამ მიზნით ჯერ მოვიყვან ერთი მწერლის (ნ. ბერდიაევის) მიერ რუსეთის დახასიათებას.

**წინააღმდეგობა პირველი.** რუსეთი ყველაზე უფრო ანტისახელმწიფოებითი ქვეყანაა. ვარიაგების მოწვევა რუსეთში სიმბოლიური მომენტია მთელის რუსეთის ისტორიისა. რუსეთის მწერალნი სახელმწიფოს მოწინააღმდეგე არიან. რუსეთმა მისცა ქვეყანას საუკეთესო თეორეტიკოსნი ანარქიზმისა: ბაკუნინი და კრაპოტკინი. ლეო ტოლსტოის რელიგიური მოძღვრება ანარქისტულია არსებითად. სლავოფილები და დოსტოევსკიც ბოლოს და ბოლოს ანარქიზმისაკენ იხრებიან. რუსეთის „ხალხოსნობა“ („ნაროდნიჩესტვო“) სახელმწიფოს მოწინააღმდეგე მოვლენაა. რუსეთის ლიბერალები უფრო ჰუმანისტებია, ვიდრე სახელმწიფოს დამამკვიდრებელნი. რუსის ხალხს თითქო სახელმწიფოსაგან განთავისუფლება უფრო სურს, ვიდრე თავისუფალი სახელმწიფო. სახელმწიფო საქმეში რუსის ხალხი არ იჩენს ვაჟურს სიძლიერეს: იგი თვითონ ელის საქმროს, ქმარს, დამფლობელს. სახელმწიფო ძალა რუსეთში გარეგანი კანონია მისი ყოფისა: იგი შიგნით კი არ იბადებოდა, არამედ გარედან მოდიოდა. ფრიად დამახასიათებელია, რომ რუსეთის ისტორიამ არ იცის რაინდობა, საცა პირველ ყოვლისა თავსა ჰყოფს ვაჟური დასაწყისი, რაინდობა ჰქმნის ვაჟური პიროვნების სიმტკიცეს, ასეთი სიმტკიცე რუსის ხალხს არა აქვს: მასში უფრო „რბილტანიანობა“ სჭარბობს, მის პროფილში არა. სჩანს მკვეთრი კვეთილობა: — პლატონ კარატაევი ტოლსტოის მიერ „მრგვლად“ არის ნახატი.

ეს ერთი მხარე, — მაგრამ იმავე რუსეთში არის მეორე მხარეც, სრულიად მოწინააღმდეგე პირველისა. რუსეთი ყველაზე უფრო სახელმწიფოებითი და ბიუროკრატიული ქვეყანაა. რუსეთი დიადი იმპერიაა, ივანე კალიტადგან მოკიდებული „რუსის მიწა იკრიბებოდა“ და ამ შეკრებამ მიაღწია უზარმაზარ საზღვრებს. ამ სიდიადის შესანახავად იხარჯებოდა მთელი ენერგია ერისა. კლასები და წოდებანი სუსტად ვითარდებოდნენ, და მათ არ უთამაშნიათ ისეთი როლი, როგორც ითამაშეს დასავლეთს ევროპაში. ბიუროკრატია კი ძლიერ ვითარდებოდა. იგი იჭედებოდა თათრობასთან ბრძოლაში, აღრევის ხანაში, უცხოელთა შემოსევისას. ბიუროკრატიის ძალაუფლება რუსეთის ცხოვრებაში გერმანეთის შინაგანი შემოსევა იყო. გერმანეთი შემოვიდა რუსეთის სიცოცხლეში. რუსეთი შესცდა საქმროს არჩევანში.

**წინააღმდეგობა მეორე.** რუსეთი ყველაზე უფრო არაშოვინისტური ქვეყანაა. დასავლეთი ერები ნაციონალისტურად არიან განწყობილნი. რუსეთში ნაციონალიზმი რაღაც „გადმოღებულის“ შთაბეჭდილებას იწვევს. რუსეთის ხალხისათვის უცხოა აგრესიული ნაციონალიზმი. რუსეთის ინტელიგენცია როგორც უწმინდურს, ისე უცქეროდა ყოველთვის ნაციონალიზმს. რუს — რადიკალების ზერელე კოსმოპოლიტურ თეორიებში რამოდენიმედ რუსეთის ერის ყოვლად საკაცობრიო (ზესთანაციონალური) სული გამოსჭვივა. რუსეთის გენიოსი ლეო ტოლსტოი ცდილობს რელიგიური გარდაქმნით გადალახოს ყოველი ზღუდე ნაციის ხასიათისა. სლავოფილები ნაციონალისტები არ ყოფილან ამ სიტყვის ჩვეულის მნიშვნელობით: ისინი მხოლოდ ამაღლებდნენ რუსის ხალხს მის „სოფლიობისათვის“. დოსტოევსკიმ პირდაპირ განაცხადა: რუსი ადამიანი ყოვლადი ადამიანია და რუსეთის სული — მსოფლიო სული. კატკოვიკი, თეორეტიკოსი რუსეთის ნაციონალიზმისა, წმინდა წყლის „დასავლეთელი“ იყო: რუსის ხალხურ სულს იგი სრულებით არ აცხადებდა.

ასეთია ერთი თეზისი, — მაგრამ არის ერთი თეზისიც; რუსეთი ყველაზე უფრო ნაციონალისტური ქვეყანაა. იგი უარყოფს ევროპას როგორც სიდამპლეს და ჯოჯოხეთის ნაყოფს. იგი წამულობს მხოლოდ თავის თავს. „რუსული თავმდაბლობა“ მეორე ბოლოში პირდაპირ ამპარტავნობაში გადადის: „წმინდა რუსეთი“. რუსეთი ცოდვილია, — მაგრამ ცოდვებშიაც იგი წმინდას უწოდებს თავის თავს და აცხადებს უკანასკნელს, როგორც წმინდანების ქვეყანას. დოსტოევსკი, რომელიც მივიდა უზენაესს სიყვარულამდე ქრისტეს ფენომენით, იმავე დროს საშინელებას ჰქადაგებს: აძაგებს ებრაელებს და პოლონელებს, არ სცნობს დასავლეთისადმი ქრისტეს მიღების რელიგიურ უფლებას. რუსეთში მოხდა ნაციონალიზაცია ეკლესიისა: უკანასკნელს ჰგონია, რომ იგი მსოფლიო ეკლესიაა. ამ ეკლესიური ნაციონალიზმით გაჟღენთილია გამეფებული ეკლესიაც, სლავოფილების წადილებიც და „სტაროობრიადცების“ მიდრეკილებაც. „დედა მიწა“ რუსეთისათვის მხოლოდ და მხოლოდ რუსეთია. რუსეთი თავის წარმოდგენაში ღვთის-მშობელად ქცეულა. იგი ღვთისმოსავია. გენიალური გამომთქმელი რუსეთის გვარობითი სხეულის, მისი განოყიერების და გამრავლებისა — როზანოვი არის.

**წინააღმდეგობა მესამე.** რუსეთი უსაზღვრო სულის თავისუფლების ქვეყანაა. მან არ იცის დასავლეთის „ბურჟუაზობა“ და „მეშჩანობა“. დოსტოევსკიმ თავის ლეგენდით დიდს ინკვიზიტორზე ისეთი უსაზღვრო სულის თავისუფლება აცნობა სამყაროს, რომლის მსგავსი ჯერ არავის არც კი მოლანდებია, სლავოფილები რუსეთში სულის თავისუფლებას მზერდენ: დასავლეთი მათთვის თვისგანით არა თავისუფალს წარმოადგენდა. რუსი ადამიანის ტიპი მოგზაურია, ყველაზე უფრო თავისუფალი არსება. იგი დადის მიწაზე, მაგრამ არ ჩაზრდილა მიწაში, — და, რასაკვირველია, მასში არ არის მიწასახლოობა. იგი ჰაეროვანია უფრო. მრავალია მოგზაური რუსეთში: როგორც უბრალო ხალხში, ისე ინტელიგენციაშიც. რასკოლნიკოვი, მიშკინი, სტავროგინი, ვერსილოვი, ანდრია და პიერ ბეზუხი — ყველა ესენი ნამდვილი მოგზაურებია. მოგზაურობა (სტრანნიჩესტვო) იყო ფილოსოფოს სკოვოროდაში, ლერმონტოვში, დოსტოევსკსა და ტოლსტოიში, იგი არსებობს რუს რევოლუციონერებში და სექტანტობაში. რუსეთი მხარეა სულიერი ლოთობისა, მხარე ხლისტებისა და თავისდამწველების, სელივანოვისა და რასპუტინის, გრიშკა ოტრეპიევისა და პუგაჩოვის. რუსის სულში მარად არის „ქალაქ კიტეჟის“ მარადი ძიება, — ძიება ახალი მეგობრისა ქვეყანაზე.

ხოლო იმავ რუსეთში მეორე მხარეცაა. რუსეთი მხარეა საშინელი სერვილიზმისა და მორჩილების, მხარე მაგარი ყოფისა და მძიმე სხეულის. ვაჭრები, ჩარჩები, მოხელენი, გლეხები, სამღვდელონი, ინტელიგენცია — ყველა ესენი შიგან თავისუფალი არ არიან და ჩაზრდილნი არიან მატერიალურ ყოფაში. რუსეთი ისე შევიდა მატერიაში, რომ იქცა ინერტული, ზარმაცი, მძიმე. რუსეთში არ უნდათ მაღლა ასვლა, იქ ყველას სურვილია — იყოს „როგორც სხვები“. რუსეთში აქტივობა ცოტაა: ყველა იმას ეყრდნობა, თუ სხვა მისთვის რას გააკეთებს. რუსეთის ინტელიგენციის თანასწორობის იდეა უფრო მექანისტურია, ვინემ შიგან თავისუფალი. რუსეთი უპიროვნო კოლექტივის ქვეყანაა.

ასეთია ბერდიაევის აზრით რუსეთი: უკანასკნელის ყოფა ანტინომისტურია. რით შეიძლება აიხსნას რუსეთის ასეთი უცნაურობა? ავტორი ამ კითხვის გადაჭრას ვაჟური და ქალური დასაწყისის ურთიერთობაში ეძებს. რუსეთი ქალურია არსებითად, ავტორის აზრით: იგი მუდამ ეძებს საქმროს. ვაჟური რუსეთი — ეს ან გერმანელია, ან ფრანგელი, ან ბერძენი (ძველად). რუსეთის ცხოვრებას ჰფლობს ხან მარქსი, ხან შტეინერი, ხან კანტი, ხან კიდევ რომელიმე სხვა უცხო ვაჟი. აპოლლო, ღმერთი ვაჟური გაფორმებისა, ჯერ არ შესულა დიონისურ რუსეთში. თვითონ დიონისიზმი რუსეთისა ბარბაროსულია და არა ჰელლინური. ასეთია საშინელება რუსეთის. აქედან მხოლოდ ერთი გასავალია: რუსეთის წიაღში უთუოდ უნდა მოინახოს ვაჟური ელემენტი. მისი მონახვა თანამედროვე ომშია შესაძლო: რუსეთი ამ ომში გმირულად არის დაჭიმული და ეს ალბათ ვაჟკაცობას წარმოშობს. რუსეთი წინასწარმეტყველური — აი მომავალი ხსნა რუსეთის...

ეს აზრები ბერდიაევმა გამოსთქვა ჯერ კიდევ მაშინ, როცა რევოლუციის ლანდიც არ სჩანდა. მით უფრო საგულისხმოა მათში გატარებული ხაზი. ეჭვს გარეშეა, ავტორმა ბევრი რამ საინტერესო წარმოსთქვა, — მაგრამ ბოლოს და ბოლოს მისი კონცეპცია მცდარი არის. აქ არ გამოვუდგები მის გარჩევას, — ეს არცაა ჩემი ახლო მიზანი, — ვიტყვი მხოლოდ შემდეგს: თანამედროვე მეცნიერებით ყოველს არსში ვაჟური დასაწყისიც არის და ქალურიც. თუ რომელი მომენტი სჭარბობს, მით განისაზღვრება უწყებული არსის ვაჟობა თუ ქალობა. რუსეთი ავტორის თქმით ქალურია არსებითად, ხოლო ამით ავტორი არ კმაყოფილდება: იგი გაიძახის: რუსეთი უნდა გახდეს ვაჟური. რა საფუძვლით, ან რა მოსაზრებით, — თუ კი რუსეთის საარსო პრინციპი იმთავითვე ქალურია? — დაეკითხებით მას. ამ შეკითხვისათვის ბერდიაევს პასუხი არ აქვს.

გარნა შესაძლოა ზემოგამოთქმული კონცეპცია სხვა მხრით (საკითხის სისწორით დაყენება) გამოგვადგეს, როცა რუსეთის ტრაგიულს უცნაურობას მივმართავთ ასახსნელად. ამის შესახებ ხვალ.

**გრ. რობაქიძე**

**გაზეთი „საქართველო“, 1917 წ. ღვინობისთვის 21, № 232.**

ფასი 50 კაპ.
ინდექსი 66447

რედაქციის მისამართი: თბილისი, ჯავახეთის ქ. №17. ტელ.: 292-081.
იბეჭდება საქართველოს კპ ცკ გამომცემლობაში

რედაქტორი მამუკა ფუჩუაშვილი